აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№95 (24.975) შაბათი, 3 - 5 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარომეტრი

ბარომეტრს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 30-35, მაღალ მთაში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 29 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 3 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

კრიალოსა N იუსი

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა აღვადგინეთ, ამერიკას ძალიან ბევრი პოზიტიური პროექტი აქვს განხორციელებული და ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ბევრი დახმარება აქვს გაწეული არაერთი მიმართულებით. უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, კელი დეგნანი ძალიან აქტიური ელჩია და აქტიურად არის ჩართული ყველა იმ პროექტის და პროგრამის განხორციელებაში, რომელსაც ამერიკა ახორციელებს ჩვენს საქართველოში.

* * *

ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიასა და ევროპის საბჭოს ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოში საქართველოს კვოტით წარსადგენ წევრობის კანდიდატად შესარჩევმა კომისიამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ცინცაძე შეარჩია. „ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიასა (CEPEJ) და ევროპის საბჭოს ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოში (CCJE) ქეთევან ცინცაძე საქართველოს კვოტით ხუთი წლის ვადით იქნება წარდგენილი“, აღნიშნულია იუსტიციის სამინისტროს განცხადებაში.

* * *

აფხაზეთში დაიწყო სახიფათო პროცესები, რაც რუსების და სეპარატისტების ლიდერების ერთობლივი გეგმის ნაწილია. ენგურის ხიდზე შეზღუდვების მოხსნით, რუსეთი აფხაზეთთან ერთად გახსნის ახალ სატრანზიტო ზონას, რაც საფრთხის შემცველია ჩვენი სახელმწიფოსთვის, - ამის შესახებ პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაიამ განაცხადა. მისი თქმით, სეპარატისტების მიზანია, აფხაზეთის ტერიტორია გახდეს ტრანზიტული ზონა, სადაც საქონლის სერტიფიცირება მოხდება მათი წესებით და ტრანზიტის გადასახადი გადახდილი იქნება აფხაზეთში.

* * *

არავის ეგონოს, რომ ჩვენ მხოლოდ ოთხნი ვართ, ამას მალე დაინახავს საზოგადოება - ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს. „ჩვენი მხრიდან ხმამაღლა „წაკითხულმა“ მზაკვრულმა სცენარმა ჩაშალა გეგმა, რომელიც თითქოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ემსახურებოდა, არადა, რეალურად ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლას ისახავდა მიზნად, ქუჩის აურზაური კი შეიცვალა პოლიტიკოსების საუბრებით“, - აღნიშნა დეპუტატმა. მისივე თქმით, ისინი ქვეყნის ინტერესებს იცავენ და აქ კომპრომისი ვერ იქნება.

მოამზადა
ია შველიძემ

აჭარის მთავრობის დაფინანსებით, სტუდენტები სწავლას საზღვარგარეთ გააგრძელებენ

პროგრამა - „სწავლა საზღვარგარეთ“, რომელსაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ განათლება მარკეტინგის, სამართალმცოდნეობის, ბიოლოგიის, ეკოლოგიის, სოფლის მეურნეობის და სხვა მიმართულებებით. პროგრამის მიზანია ახალგაზრდა და ნიჭიერი კადრების აკადემიური განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და საერთაშორისო გამოცდილების შეძენა.

2022 წლიდან, მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ინიციატივით, პირველად ჩაერთვებიან საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების პროგრამაში საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები. პროგრამის ბიუჯეტი მუდმივად მზარდია და 2022 წელს 800 ათასი ლარი შეადგინა.

წელს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 10 სტუდენტი აჭარის მთავრობის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სრული დაფინანსებით, გერმანიის უნივერსიტეტში გააგრძელებს სწავლას. ბათუმის საზღვაო აკადემიის ნავიგაციის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლიან გერმანიაში, ფლენსბურგის უნივერსიტეტში. პროგრამა ხორციელდება ფლენსბურგის უნივერსიტეტის ნავიგაციის ფაკულტეტზე უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან ერთად პროგრამის - „სწავლა საზღვარგარეთ“ გამარჯვებულებს შეხვდა და წარმატებები უსურვა.

პროგრამის - „სწავლა საზღვარგარეთ“ ფარგლებში, წელს 50 სტუდენტი გააგრძელებს სწავლას საზღვარგარეთ.

ანკა ჩხიკვაძე

ბრანდენბურგელ სტუმრებს გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში უმასპინძლეს

აჭარაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ბრანდენბურგის ფედერალური მიწის ლანდტაგის ოფიციალურ დელეგაციას, რომელსაც ლანდტაგის პრეზიდენტი ულრიკე ლიდტკე ხელმძღვანელობს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა და მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანმა გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში უმასპინძლეს

მხარეებმა კულტურის სფეროში დაწყებული მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს, კერძოდ, მუსიკალურ სკოლებს შორის ერთობლივი პროექტების მხარდაჭერასა და თეატრალურ სფეროში სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებაზე.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კულტურის პოლიტიკაზე, როგორც ევროკავშირის ინტეგრაციის გზაზე მთავარ დამაკავშირებელ ხიდზე. მანამდე, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში, აჭარის კულტურის სფეროს მენეჯერებს ბრანდენბურგის კულტურის პოლიტიკაზე ულრიკე ლიდტკემ პრეზენტაცია ჩაუტარა, რომელიც რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა კლასიკური მუსიკის კონცერტით დაასრულეს.

მაია ხაჯიშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სტუმრებს საუნივერსიტეტო თანამშრომლობის გაღრმავებისთვის, კერძოდ, გერმანიის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობისთვის.

ბრანდენბურგელმა სტუმრებმა გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმი დაათვალიერეს და სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

ანკა ჩხიკვაძე

ახალსოფლის სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია-მშენებლობა იგეგმება

2

უსიამოვნო სუნი - ურნებიდან

რას ამბობენ «სანდასუფთავებაში»?

3

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სოფლის მეურნეობის მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ სამინისტროს თანამშრომლებს ახალი მოადგილე - უჩა სურმანიძე წარუდგინა

უჩა სურმანიძემ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და დარემის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა. არის კრაკოვის (პოლონეთი) ეკონომიკის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. მოადგილედ დანიშვნამდე, იგი სამინისტროში პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. პროფესიით ეკონომისტს, საჯარო სამსახურში მუშაობის ათწლიანი გამოცდილება აქვს.

მინისტრის პირველ მოადგილედ არჩილ ბერიძე დაინიშნა, რომელსაც მანამდე მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

ხანძრის კერები ლიკვიდირებულია

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთის საფარ ტყეში, სასვინტრიას უბანში გაჩენილ ხანძარს პირველად სოფლის მკვიდრი ალი ბატაძე შეებრძოლა. მას მალე შუახევის სატყეო ადმინისტრაციის სამცველო უბნის მეტყევე ბადრი გოგაძე და ტბეთელი თემურ ფევაძე მიეშველნენ, მაგრამ სტიქია უკან არ იხევდა. სტიქიასთან ბრძოლაში ლომსიანეთის უბნის მცხოვრებლები გოჩა, როლანდ, ალი, ეთერ ბახტაძეები, ედნარ ფევაძე, ნათელა, ცისანა, ზინაიდა ლომსაძეები, თინა სვანიძე, მისი შვილიშვილები ნიკა და ანანო თურმანიძეები, სოფლის უხუცესი ზეინებ კაჭახმაძე, ბადრის ქალიშვილი შორენა გოგაძე ჩაერთვნენ.

ცეცხლი 300 კვადრატულ მეტრზე იყო მოდებული. მოსახლეობას შუახევის სამაშველო სამსახურის მეხანძრეებიც დაეხმარნენ და სოფლის საფარი ტყე დაწვას გადაურჩა.

შემთხვევის ადგილზე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე და სხვა ხელმძღვანელები მივიდნენ.

იმავე დღეს სოფელ ტბეთში ხანძარმა ირაკლი გოჩიტიძის თივის საბძელი შეიწირა.

ხანძარმა 1000 კვადრატულ მეტრზე მეტი ტყე მოიცვა ჭვანის ხეობის ტინტყოს (სოფელი ნაგომარი) უბანში.

- მოსახლეობა და ჩვენი სამსახური დროულად რომ არ შებრძოლებოდა ტბეთსა და ნაგომარზე გაჩენილ ხანძრებს, ბორჯომის ხეობაში არსებული სიტუაცია ჩვენთანაც განმეორდებოდა, - გვითხრა შუახევის სამაშველო სამსახურის უფროსმა ოლეგ დავითაძემ.



„სკენარი“ – გზა შენი ჯანმრთელობისკენ

ბათუმში სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრ „სკენარის“ ფილიალი გაიხსნა. ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე, აჭარის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე და მედიკოსები ესწრებოდნენ

სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი პაციენტებს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, კლასიკური და ტრადიციული მედიცინის მეთოდებზე დაფუძნებულ ინტეგრირებულ მომსახურებას შესთავაზებს. აქ დანერგილია მკურნალობა ნანოტექნოლოგიური მოწყობილობების, კლასიკური მედიკამენტოზური თერაპიის, სპეციალური ვარჯიშებისა და ტრადიციული მედიცინის გამოყენებით.

„სკენარის“ კლინიკას ბრიტანული ინსტიტუტის მიერ მინიჭებული აქვს ევროპული სერტიფიკატი და დარეგისტრირებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

- თანამედროვე სტანდარტებით მკურნალობა ყოველთვის იყო და არის მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვის. სასიხარულოა, რომ ჩვენს ზღვისპირა ქალაქს კიდევ ერთი მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულება შეემატა, რომელიც პროფესიონალი მედიკოსების დახმარებით, მალე საკუთარ ნიშას დაიმკვიდრებს ამ სფეროში, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძემ ცენტრის გახსნის ცერემონიაზე.

ანკა ჩხიკვაძე

ახალსოფლის სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია–მშენებლობა იგეგმება

აჭარის პროექტების მართვის კომპანიამ ახალი სასპორტო სკოლის მოსაწყობად კონკურსი გამოაცხადა. კერძოდ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში სასპორტო სკოლის მშენებლობა, „საფეხბურთო კლუბ მაჭახელას“ სათამაშო მოედნის რეაბილიტაცია და საფეხბურთო სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწყობა იგეგმება.

პროექტის თანახმად, შენობაში უნდა განთავსდეს ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის მინიმოედნები, არანაკლებ 300 კაცზე გათვლილი ტრიბუნებით. მათ შორის: VIP-ლოჟა 5 ადამიანზე, შშმ პირთათვის ადაპტირებული ტრიბუნა, მედიატრიბუნა. 45 მეტრი სიგრძისა და 28 მეტრი სიგანის მინიმოედანი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად უნდა დაპროექტდეს. რეკომენდებული შიდა სივრცის სიმაღლე 10 მეტრი უნდა იყოს, ხოლო ხის იატაკი FIBA-ს სტანდარტის შესაბამისად მოეწყოს. ობიექტს ექნება იზოლირებული გასახდელები როგორც სპორტსმენებისათვის, ისე მსაჯებისთვის. გათვალისწინებული უნდა იყოს მინიმოედნის ფუნქციონირებისთვის საჭირო ტექნიკური სათავსოები, განათების სისტემა, დარბაზები ჭიდაობისათვის, ძალოსნობისა და ძიუდოსთვის.

პროექტის თანახმად, ნაგებობაში უნდა განთავსდეს არანაკლებ 50 კვმ ფართობის სატრენაჟორო დარბაზი, სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის სამყოფები, საევაკუაციო გასასვლელები, სანიტარული კვანძები, ტექნიკური სათავსოები, საწყობები ინვენტარისათვის და სხვა. სპორტულ კომპლექსში, ასევე, უნდა მოეწყოს: რეგულაციების შესაბამისი პარკინგი, მათ შორის, აუცილებლად 1-2 ავტობუსისათვის; მთავარი შესასვლელი, ჰოლი, სადაც შესაძლოა მოეწყოს სწრაფი კვების ობიექტი; ადმინისტრაციული ოფისები 20 პერსონალზე; 25-30 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო ოთახი; პერსონალის კვების ოთახი; საზოგადოებრივი სანკვანძები; დაცვის ოთახი; ტექნიკური სათავსოები; ექიმის კაბინეტი და მედპუნქტი სპორტსმენებისთვის. გარდა ამისა, ეკონომკლასის ტიპის 7 სასტუმრო ნომერი. ფასადი უნდა იყოს ვენტილირებადი და მოპირკეთდეს თანამედროვე მასალებით; შენობა-ნაგებობა აღჭურვილი უნდა იყოს ელექტროსისტემებით, ინტერნეტითა და ტელეფონით, უსაფრთხოების კამერებით, გამოცხადების, უკუკავშირის, ცენტრალური გათბობა-გაგრილების, სახანძრო სისტემებით, მათ შორის კვამლგამწოვი, ვენტილაციის, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებით.

იხ. მე-4 გვ.

ისევ ფაროსანა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ზაფხულისა და შემოდგომის გვალვიან დღეებს მოსავლის ძალიან მცირე ნაწილი გადაურჩა, დარჩენილსაც ახლა მავნე მწერები ანადგურებენ.

ქედის მუნიციპალიტეტში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს.

ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებმა და ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრმა განსაზღვრა ის სოფლები და ტერიტორიები, რომლებიც განსაკუთრებულად საჭიროებს შველას, რის შემდეგაც ეტაპობრივად ხორციელდება მათი ქიმიური წამლობა.

ღონისძიებისთვის მობილიზებულია 5 ერთეული ტექნიკა, შეწამლვა საღამოს საათებში მიმდინარეობს, ინფორმაცია აღნიშნული ტერიტორიების შეწამვლის შესახებ, შესაბამის მოსახლეობას სმსის სახით ეგზავნება.

სარესტავრაციო სამუშაოები

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ოთოლთას ციხე ჭვანის ხეობის შესასვლელში სოფელ ტაკიძეებშია. ისტორიული წყაროების ცნობით, ამ ციხეში რამდენიმე დღე დაჭყო ბაზალეთის ომს განრიდებულმა გიორგი სააკაძემ. გასული საუკუნის 80-იან წლებში არქეოლოგ შოთა მამულაძის ხელმძღვანელობით, ციხის ნანგრევებზე პირველი გათხრები გაკეთდა და მნიშვნელოვან მასალებსაც მიაკვლიეს.

ციხეს ყურადღებას დღესაც არ აკლებენ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით ოთოლთის ციხეზე მისასვლელი ბილიკი გაკეთდა. ტაკიძეებელი ექიმის იაგო ტაკიძის ინიციატივით, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის კურთხევით, ციხეზე ლითონის ჯვარი აღმართეს.

ტაკიძეების ციხე მნიშვნელოვან ტურისტულ ლოკაციად ითვლება.

- ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის ათვისება უკვე დაწყებულია. ციხეზე არსებული გვირაბი, ქვევრები უფრო მეტ ტურისტს მოიზიდავს. წინასწარი გათვლებით, ოთოლთის ციხის სარესტავრაციოდ 800 ათასი ლარის მობილიზებას ვაპირებთ, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

ოპოზიციის ნაწილი გენპროკურორის არჩევის წესს მხარს დაუჭერს თუ...

„ქართული ოცნება“ მზადაა, გენერალური პროკურორის არჩევა 3/5-იანი კვორუმით მოხდეს და შესაბამისი ნორმა კონსტიტუციაში ჩაიწეროს. საუბარია გენერალური პროკურორის არჩევის იმ წესის ამოქმედებაზე, რომელიც ჯერ კიდევ გასულ წელს პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის ჩართულობით შემუშავებული დოკუმენტის ფარგლებში შეთანხმდა, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის სახით პარლამენტს წარედგინა, თუმცა პროექტის პირველი მოსმენით მიღებისას აღნიშნული წესის მიღებაზე უარი ითქვა. შესაბამისი განცხადება პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

- როგორც მოგეხსენებათ, რადიკალური ოპოზიციის საბოტაჟის ფონზე, „ქართული ოცნება“ აქტიურად მუშაობს ევროკავშირის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესრულებაზე. აღნიშნული 12 პუნქტის ნაწილია საქართველოს გენერალური პროკურორის არჩევის წესის გადასინჯვა. ამ დათქმის შესრულების მიზნით, გუშინ საპარლამენტო უმრავლესობამ ოფიციალურად დააინიცირა კონსტიტუციური კანონის პროექტი ზუსტად იმ შინაარსით, რომელიც შარშან შეჯერდა უმრავლესობასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის გამართული კონსულტაციების საფუძველზე. კანონპროექტის თანახმად, მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტი საქართველოს გენერალურ პროკურორს აირჩევს 3/5-ის უმრავლესობით, 6 წლის ვადით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი ხმათა 3/5-ს ვერ მიიღებს, გენერალური პროკურორი აირჩევა ხმათა უმრავლესობით, მაგრამ ერთი წლის ვადით. საპარლამენტო ოპოზიციასთან შეჯერებულ ამ კანონპროექტს ანალოგი არა აქვს მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში. ამას აქვს მარტივი მიზეზი - მისი შინაარსი ეწინააღმდეგება მმართველობის სისტემის ლოგიკას და ელემენტარულ სამართლებრივ პრინციპებს, რაზეც დღეს დიდხანს აღარ შევჩერდებით. გავიხსენებთ მხოლოდ იმას, რომ აღნიშნული მიზეზით, ჩვენი გადაწყვეტილებით, შარშან შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება შეჩერდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესრულება ჩვენთვის განსაკუთრებული პრიორიტეტია, გამონაკლისის სახით, ერთჯერადად თვალს დავხუჭავთ სამართლებრივ პრინციპებზე და გენერალური პროკურორის არჩევის ახალ წესს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მივიღებთ, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ 1-ელ სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ოპოზიციის ნაწილი - „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ნაციონალური მოძრაობა“ შეთანხმდა, რომ გენპროკურორის არჩევის წესს მხარს დაუჭერს, თუ პირველი მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების მეორე მოსმენით მიღება მოხდება, რომელიც მომდევნო არჩევნების სრულად პროპორციული სისტემით ჩატარებას და ბარიერის შემცირებას ითვალისწინებს. აღნიშნულის შესახებ განცხადებები ოპოზიციონერმა დეპუტატებმა შეხვედრის შემდეგ გააკეთეს.

როგორც „ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, ახლა ხელისუფლება მათ ახალ საკონსტიტუციო ინიციატივას სთავაზობს, რომელშიც სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი ის პუნქტი, რომელიც თავის დროზე „ქართული ოცნების“ მოთხოვნით იქნა ამოღებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტიდან და მის გარეშე იქნა საკონსტიტუციო ცვლილებები მხარდაჭერილი პირველი მოსმენით, რის შემდეგაც მეორე მოსმენით განხილვა მათი მოთხოვნის მიუხედავად აღარ მომხდარა.

- ცხადია, დღესაც ვიქნებით მზად, მხარი დავუჭიროთ ამ ტექსტს, მაგრამ თუ „ოცნება“ ცდილობს მანამდე პირველი მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, სადაც წერია სრულად პროპორციული არჩევნები და ა.შ. გადააგდოს და თქვას, რომ ჯერ გენპროკურორის არჩევის წესი მივიღოთ და მერე ვნახოთ რა იქნება, ცხადია, ჩვენ ამაში მათ ვერ გავყვებით, - განაცხადა უსუფაშვილმა.

„ლელოს“ კიდევ ერთი წევრის სალომე სამადაშვილის თქმით კი, შარლ მიშელის შეთანხმებისა და ევროკომისიის რეკომენდაციების ყველა მოთხოვნა უნდა შესრულდეს, მათ შორის, გენერალური პროკურორის არჩევის წესზე.

- ყველა საკონსტიტუციო ცვლილებას, რაც შეთანხმებით არის გათვალისწინებული, ჩვენ მხარს დავუჭერთ. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ შეთანხმების ყველა მოთხოვნა უნდა შესრულდეს, - განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

აღნიშნულ ცვლილებას მხარს არ დაუჭერს გიორგი გახარიას გუნდი. ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა მიხეილ დაუშვილმა ისაუბრა.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატის პაატა მანჯგალაძის განცხადებით კი, სამართლიანი იქნება, ის პირობა, რაც გაცემული აქვს „ქართულ ოცნებას“, სრულად შეასრულოს და არა ნაწილობრივ.

- არათანმიმდევრულია „ქართული ოცნება“. ჯერ პროექტიდან ამოიღეს გენპროკურორის ნაწილი და მოსწონდათ ბარიერთან დაკავშირებული ნაწილი. ახლა თავს იკავებენ ბარიერთან დაკავშირებულ ნაწილზე და შემოაქვთ გენპროკურორის არჩევის წესი, ასე „კატა-თაგვობანას“ ვერ ვითამაშებთ. შეთანხმება უნდა შესრულდეს სრულად, რაც ნიშნავს, კენჭი ვუყაროთ ბარიერის ნაწილსაც და გენპროკურორის ნაწილსაც,- განაცხადა მანჯგალაძემ.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, დეპუტატმა ლევან ბეჟუაშვილმა განაცხადა, რომ გენპროკურორის არჩევის წესთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ პოზიციის ცვლილება მისასალმებელია, მაგრამ ეს საკითხი მიშელის შეთანხმების პუნქტებიდან გამომდინარე, ამოგლეჯილად არ უნდა განიხილონ. როგორც მან აღნიშნა, ცვლილებებს თავად მხარს დაუჭერს.

- მიშელის შეთანხმებაში სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც არის, იგივე ბარიერის დაწევის და ბლოკების საკითხი. ამიტომ ვფიქრობთ, არა მხოლოდ გენპროკურორის არჩევის წესზე, არამედ სხვა საკუთხებზეც უნდა შეიცვალოს „ქართულმა ოცნებამ“ პოზიციები, - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გენერალური პროკურორის არჩევის წესის ცვლილება ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთერთია, რომელიც წლის ბოლომდე უნდა შესრულდეს.

ია შველიძე

უსიამოვნო სუნი - ურნებიდან

რას ამბობენ „სანდასუფთავებაში“?

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

აჭარაში „ცხელი სეზონის“ პარალელურად, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ვიზიტიორებისთვის, ყველაზე შემაწუხებელი ფაქტორი ქალაქში ნარჩენების სუნია. ადგილობრივები ამბობენ, რომ ბათუმის ქუჩებში განსაკუთრებით ცხელ ამინდებში, ამ კუთხით არასახარბიელო მდგომარეობაა. მათივე თქმით, უსიამოვნო სუნი სიახლეს არ წარმოადგენს. მოსახლეობა თავიანთი ძალებით ცდილობს მდგომარეობის შემსუბუქებას. ისინი ქუჩებსაც რეცხავენ, თუმცა ურნები იმდენად გადატვირთულია, რომ პრობლემა მაინც ვერ გვარდება. მოქალაქეები ურნების დეზინფექციასა და გარეცხვას მოითხოვენ. პრობლემა აქტუალურია სოციალურ ქსელშიც, სადაც ადამიანები წერენ, რომ სუნი იმდენად შემაწუხებელია, ხშირ შემთხვევაში, ღია ფანჯრებიდან სახლშიც შედის, სადაც ღამით გაჩერება სპეციალური ჰაერგამწმენდი დეოდორანტის გარეშე შეუძლებელი ხდება.

გაზეთი „აჭარა“ ბათუმის სანდასუფთავების სამსახურს დაუკავშირდა და შეეცადა გაერკვია, შექმნილი ვითარება რამ გამოიწვია. უწყებაში ადასტურებენ, რომ უსიამოვნო სუნი ქალაქში ამჯერად მართლაც სანაგვე ურნებიდან დგება.

- ინტენსიურად ხორციელდება სანაგვე ურნების გაცლა ნარჩენებისგან, ეტაპობრივად ტარდება მათი რეცხვისა და დეზინფექციის სამუშაოებიც. პრობლემა ისაა, რომ უკანონოდ ხდება ურნებში ნარჩენების მოთავსება. მაგალითად, კაფეებსა და რესტორნებს გამოაქვთ მეორადი ზეთები და ასხამენ ურნებში, რაც იწვევს აუტანელ სუნს, არ არის გამორიცხული, მოსახლეობის ნაწილიც ასე იქცეოდეს. მოგეხსენებათ, ზაფხულის სეზონზე ძალიან ბევრი ვიზიტიორია ბათუმში. ამანაც გამოიწვია ურნების გადატვირთვა. ფაქტობრივად, როგორც კი იცლება ნარჩენებისგან ურნა, მალევე ივსება. გასულ წლებში ასე არ იყო. ნარჩენების არასწორად მოთავსება ჯარიმდება, თუმცა ამის იდენტიფიკაცია ჭირს, რადგან ურნებთან არ არის დამონტაჟებული ვიდეოკამერები. მხოლოდ ფაქტზე წასწრების შემთხვევაში ხდება პირის დაჯარიმება. თუ მოქალაქე ან ორგანიზაცია მოგვმართავს მსგავსი პრეტენზიით, რეაგირებას მყისიერად ვახდენთ, - გვეუბნებიან ბათუმის სანდასუფთავებაში.

გაზეთი „აჭარა“ ნარჩენებთან დაკავშირებით ერთ-ერთი რესტორნის შეფმზარეულსაც ესაუბრა, როგორც იგი ირწმუნება, ზეთი და მსგავსი ტიპის გამოყენებული სითხეები არ იღვრება ურნებში, არამედ სპეციალურ კონტეინერებსა და ბოთლებში თავსდება და შესაბამის სამსახურებს მიაქვთ.

- სად მიდის ეს ნარჩენები, ნამდვილად არ ვიცი, არც დავინტერესებულვარ, ალბათ ამის შესახებ რესტორნის დირექტორი მოგახსენებთ. უბრალოდ, რაც შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, არანაირი ზეთის ნარჩენი და სხვა მსგავსი სითხე, რამაც შეიძლება არასასიამოვნო სუნი გამოიწვიოს, ჩვენ მიერ არ თავსდება ურნებში. ამისათვის გვაქვს სპეციალური ჭურჭელი, რომელშიც ვათავსებთ. თუ სად მიაქვთ, ან ვის მიაქვს, ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს, - ამბობს ბათუმში მოქმედი ერთ-ერთი კაფე-რესტორნის შეფმზარეული ლელა მსხილაძე.

შეგახსენებთ, რომ აჭარაში ტურისტული სეზონი 15 ივნისს გაიხსნა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ რეგიონში ტურიზმის განვითარების პოლიტიკაზე არაერთხელ ისაუბრა და აღნიშნა, რომ აჭარაში ტურიზმის აღდგენის მზარდი და დადებითი დინამიკაა. ამას ადასტურებს ისიც, რომ 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები, 2019 წელთან შედარებით, 51%-ითაა აღდგენილი. აჭარის პოპულარიზაცია 16-ზე მეტ ქვეყანაში ხორციელდება. რეგიონს კვების და განთავსების 100-ზე მეტი ახალი ობიექტი შეემატა. ამ ფონზე კი მთავარი პრობლემა - უსიამოვნო სუნი ბათუმში ჯერ ისევ მოუგვარებელია.

უცხოეთი

საფრანგეთი გააგრძელებს უკრაინის გრძელვადიან მხარდაჭერას ეკონომიკურად, სამხედრო და ჰუმანიტარული კუთხით. ევროპის ერთიანობა საკვანძოა, რადგან ჩვენი დაყოფა რუსეთის ომის ერთ-ერთი მიზანია. ხანგრძლივი ომისთვის უნდა მოვემზადოთ, - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა საფრანგეთის ელჩების წინაშე სიტყვით გამოსვლისას. როგორც მან აღნიშნა, გააგრძელებს რუსეთთან დიალოგს უკრაინის კონფლიქტის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. „საფრანგეთი გააგრძელებს რუსეთთან საუბარს. ვის უნდა, რომ თურქეთი მსოფლიოში ერთადერთი ძალა იყოს, რომელიც რუსეთთან საუბარს აგრძელებს?“ - თქვა საფრანგეთის ლიდერმა.

* * *

პოლონეთი გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს მიყენებულ ზარალს 1.32 ტრილიონ დოლარად აფასებს და ოფიციალურად მოითხოვს რეპარაციას, - ამის შესახებ პოლონეთის ვიცე-პრემიერმა და მმართველი პარტიის ლიდერმა იაროსლავ კაჩინსკიმ განაცხადა. გერმანიის მთავრობა პოლონეთის ხელისუფლების მოწოდებას გამოეხმაურა. „გერმანიის მთავრობის პოზიცია უცვლელია, რეპარაციების საკითხი დახურულია“, - აღნიშნა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა. ცნობისათვის: დაახლოებით ექვსი მილიონი პოლონელი, მათ შორის, სამი მილიონი პოლონელი ებრაელი დაიღუპა ომის დროს და ვარშავა მიწასთან გაასწორეს 1944 წლის აჯანყების შემდეგ, რომლის დროსაც დაახლოებით 200 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

* * *

ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომართ თოყაევმა 2022 წლის შემოდგომაზე რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. „სამართლიანი ყაზახეთის მშენებლობის გზაზე კარდინალური და ყოველმხრივი რეფორმების წარმატებული რეალიზებისთვის აუცილებელია მოსახლეობის ნდობის ახალი მანდატი. ჩემთვის სახელმწიფოს ინტერესები ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ მზად ვარ, შევამცირო ჩემი უფლებამოსილების ვადა და რიგგარეშე არჩევნებზე ვიყარო კენჭი“, - განაცხადა თოყაევმა. გარდა ამისა, ის გამოვიდა ინიციატივით, საპრეზიდენტო ვადა 5-დან 7 წლამდე გაიზარდოს, მეორე ვადით არჩევა კი აიკრძალოს. თოყაევმა ასევე გამოაცხადა ამნისტია ყაზახეთში იანვარში საპროტესტო აქციების დროს დაკავებულთათვის, გარდა იმ პირებისა, რომლებიც მძიმე დანაშაულებისთვის არიან გასამართლებულები.

* * *

რუსეთი მოლდოვაში სიტუაციის დესტაბილიზაციას ცდილობს, - ასე გამოეხმაურა მოლდოვის პრეზიდენტი მაია სანდუ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებას, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც დნესტრისპირეთში დისლოცირებული რუსი სამხედროებისადმი საფრთხის შემცველად ჩაითვლება, კრემლის მიერ რუსეთზე თავდასხმად იქნება აღქმული. ლავროვმა ასევე აღნიშნა, რომ კიშინიოვი დასავლეთის ინსტრუქციებს ასრულებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებების გამო მოლდოვაში რუსეთის დროებითი რწმუნებული ახსნა-განმარტებებისთვის საგარეო უწყებაში დაიბარეს.

მოამზადა
ია შველიძემ

თუ საქმე ადამიანის უფლებების დაცვას ეხება...

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოში არსებულ საკანონმდებლო ბაზას და აღიარებულ მმართველობას უკავშირდება. ომბუდსმენის ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებების დაცვის სხვა ორგანოების არსებობა, რომლებიც ამ აღიარებული უფლებების რეალიზაციის გარანტად გვევლინება, დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ელემენტია

ცივილიზებულ ქვეყნებში ყველაზე უკეთ ადამიანის უფლებებია დაცული. კეთილდღეობა, დემოკრატია და თავისუფლება ამ უფლებების ძირითადი მახასიათებლებია. როგორია ამ მხრივ სახალხო დამცველის ინსტიტუტის მოღვაწეობა, არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და, საერთოდ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქვეყანაში? - ამ კითხვებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროს ***ძეთევან შუბაშვილს*** *მივმართეთ.*

- დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის მიმართულება. თავიდანვე ვიცოდი და გააზრებული მქონდა, რომ სწავლას და მუშაობას ადამიანის უფლებების მიმართულებით გავაგრძელებდი. საბედნიეროდ, გამიმართლა, რომ მე-4 კურსზე სახალხო დამცველის აპარატში გავიარე სტაჟირება. ვიმუშავე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების საკითხებზე, რომელიც დამეთანხმებით, ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია. მაშინ ის პერიოდი ჩემს ცხოვრებაში რთულიც იყო და საინტერესოც. სოროსის ფონდის სტიპენდიის წყალობით, შევძელი ადამიანის უფლებათა სამართალი ინგლისში, ესექსის უნივერსიტეტში მესწავლა. სწავლის დასრულების შემდეგ, შესაძლებლობა მომეცა, სტაჟირება სტრასბურგის სასამართლოში გამევლო. დაბრუნების შემდეგ, მუშაობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში (საია) დავიწყე, სადაც ევროპულ სასამართლოში გასაგზავნ საჩივრებზე ვმუშაობდი. საიაში 2 წლის განმავლობაში მივიღე ძალიან დიდი პროფესიული გამოცდილება. ვფიქრობ, თუ ახლა რამეს სწორად ვაკეთებ, ეს სწორედ საიაში გატარებული პერიოდის დამსახურებაა. შემდეგ უკვე სახალხო დამცველის აპარატში თანასწორობის დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე გადმოვედი, რაც ასევე დიდი გამართლება იყო, რადგან აქ მუშაობა ნიშნავს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით ძალიან დიდ ხელშეწყობას. ასევე, თანასწორობის დეპარტამენტში ძალიან შრომისმოყვარე და პროფესიონალი ადამიანები მუშაობენ, რაც აქ საქმიანობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

- არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო უწყებებს ჯერ კიდევ კარგად არ აქვთ გააზრებული ომბუდსმენის ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა. ფიქრობთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ პრობლემები არის?

- ყველა ომბუდსმენის წინაშე ძალიან დიდი გამოწვევაა, იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით შუამავალია საზოგადოებასა და სახელმწიფო უწყებებს შორის და ძალიან მნიშვნელოვანია საჯარო უწყებების მხარდაჭერა, მათ შორის, პოლიტიკური ძალების მხარდაჭერაც საქმიანობაში, თუმცა, მეორე მხრივ, უნდა ვიყოთ კრიტიკულები და პრინციპულები, როდესაც საქმე ადამიანის უფლებების დაცვას ეხება და, რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც ძალიან მტკივნეულად, ან კრიტიკულად აღიქმება-ხოლმე სახალხო დამცველის განცხადებები. ამიტომ ეს, რა თქმა უნდა, არის გამოწვევა, თუმცა ჩემი პრინციპული პოზიციაა, რომ ნებისმიერი შემთხვევის დროს პრიორიტეტი იყოს თითოეული ადამიანის უფლება და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის პოზიცია.

- თქვენ ხელმძღვანელობთ დისკრიმინაციის, მათ შორის გენდერული უთანასწორობის შემთხვევების შესწავლას. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან?

- ქალების თანასწორუფლებიანობისთვის ბოლო წლებში საქართველოში ბევრი რამე გაკეთდა, ბევრად ეფექტიანი გახდა ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება, შეიქმნა მსხვერპლების მხარდაჭერის სერვისები, კანონით აიკრძალა სექსუალური შევიწროება, გაუმჯობესდა ეგრეთ წოდებულ დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებული ნორმები, თუმცა უამრავი პრობლემა ისევ რჩება ძალადობის თავიდან აცილების, სოციალური და ეკონომიკური უფლებების, პოლიტიკური მონაწილეობის, სექსიზმის პრევენციის, სამუშაო ადგილზე და სხვა სფეროებში სექსუალური შევიწროების აკრძალვის თუ სხვა მიმართულებებით. ელემენტარულად, წინასაარჩევნო პერიოდში ან თუნდაც სხვა დროს, პოლიტიკოსებს რომ მოვუსმინოთ, ძალიან ნათელი იქნება, რომ ქალი ოპონენტების მიმართ, პოლიტიკური კრიტიკის ნაცვლად, გარეგნობასთან თუ სოციალურ როლთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს იყენებენ. ასევე, პრობლემურია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე სათანადოდ არ არის გამიჯნული ქალთა სხვადასხვა ჯგუფების, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ან სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებები და ინტერესები, რაც ძალიან განსხვავებულია და შეიძლება, რაღაც მიმართულებით, სულაც არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. ეს პრობლემა კიდევ უფრო აფერხებს გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესს.

- ომბუდსმენის ფუნქცია უფრო რაა - პოზიტივის დანახვა თუ ხარვეზებზე მითითება?

- ვფიქრობ, სახალხო დამცველმა და სახალხო დამცველის ანგარიშებმა უნდა ასახოს რეალობა, მათ შორის, უნდა აღინიშნოს პოზიტიური დინამიკაც, თუკი კონკრეტული უფლებების დაცვის თვალსაზრისით ის არსებობს. ჩვენ ამ დოკუმენტმა სრული სურათი უნდა მოგვცეს იმაზე, თუ სად არის გაუმჯობესება და სად არის კიდევ უფრო მეტი გასაკეთებელი, თუმცა საზოგადოების და მედიის ინტერესიც უფრო მეტად მიმართულია იმ საკითხებისკენ, რაც პრობლემურია და, რა თქმა უნდა, სახალხო დამცველიც განსაკუთრებულ აქცენტებს პრობლემებზე უნდა აკეთებდეს. სახალხო დამცველის ფუნქციაა, პარლამენტს და საზოგადოებას წარუდგინოს ის შედეგები, რაც ადამიანის უფლებების მდგომარეობის თვალსაზრისით არსებობს, სახელმწიფომ უნდა იცოდეს. სად არის პრობლემა და სწორედ ეს არის ომბუდსმენის ფუნქცია, რომ დროულად მოახდინოს პრობლემების იდენტიფიცირება, ხოლო თუ საჭიროა, ძალიან კრიტიკულად და ხმამაღლა ისაუბროს, სწორედ ამაში გამოიხატება ომბუდსმენის ფუნქცია.

- სახალხო დამცველის აპარატი ყოველწლიურად აქვეყნებს მოხსენებას ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე. ამ მხრივ რა სურათი იყო თუნდაც ათი წლის წინ და რა ვითარებაა ამჟამად?

- თანასწორობის უფლებაზე ვისაუბრებ. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო, რადგან ეს ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულება იყო. მას შემდეგ, კანონი კიდევ დაიხვეწა და, საბოლოოდ, საკმაოდ კარგი ნორმატიული ბაზა მივიღეთ. ასევე, ამ 7 წლის განმავლობაში ნამდვილად გადაიდგა ბევრი პროგრესული ნაბიჯი დისკრიმინაციულ დანაშაულებთან ბრძოლის, შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის და სხვა მიმართულებებით, თუმცა კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენება მაინც გამოწვევად რჩება. დისკრიმინაციის შემთხვევები, ყველაზე ხშირად, შრომით ურთიერთობებსა და სოციალური დაცვის სისტემით სარგებლობისას გვხვდება. ყველაზე ხშირად უთანასწორობის შემთხვევებს ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენები და ლგბტ+ თემის წევრები ექვემდებარებიან. სახელმწიფოს არ აქვს თანასწორობის შესახებ ერთიანი ხედვა, პოლიტიკა. მაგალითად, ძალიან კარგად ჩანს, თუ როგორ არ უწყობს ხელს სახელმწიფო ლგბტ+ თემს გამოხატვის და შეკრების თავისუფლებით სარგებლობაში და, ზოგჯერ, ფიზიკური თავდასხმისთვისაც იმეტებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალიზაციისთვის საჭირო ღონისძიებები, მაგალითად, ფიზიკური მისაწვდომობის თუ ფსიქიკური ჯანდაცვის სათანადო სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, დღემდე არ გატარებულა. ეთნიკური უმცირესობები, ენის ბარიერის გამო, სოციალურ სეგრეგაციას განიცდიან, არც სახელმწიფო სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებია ყველა საჭიროების მქონე ჯგუფზე სათანადოდ მორგებული.

- თქვენ ლექციებსაც კითხულობთ. სტუდენტები რამდენად კარგად იცნობენ თქვენი ინსტიტუტის საქმიანობას და, ზოგადად, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ ვითარებას?

- დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ახალგაზრდობა თანამედროვე ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფასეულობაა, შესაბამისად, ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში მათი სრულფასოვანი მონაწილეობა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ახალგაზრდული პოლიტიკის სწორად შემუშავება და განხორციელება კიდევ უფრო ზრდის ახალგაზრდობის პოტენციალსა და როლს, ამისთვის კი, პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან მათი სოციალურ კატეგორიად აღქმის დამკვიდრებაა აუცილებელი. ახალგაზრდების განვითარება და მათი სოციალურ-პოლიტიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ვალდებულებაა, თუმცა ეს უნდა მოხდეს პროცესებში მათი აქტიურად ჩართვით და არ უნდა ატარებდეს დირექტივის ხასიათს. სახელმწიფოსა და ახალგაზრდობას შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ორმხრივ პასუხისმგებლობას და თანამშრომლობას. მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდულ პოლიტიკას უნდა გააჩნდეს ორი ძირითადი მიზანი. პირველ რიგში, ის უნდა ემსახურებოდეს თავად ახალგაზრდების ინდივიდუალურ განვითარებას, მათ სრულუფლებიან, პროგრესულ და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ კი, ამგვარი ახალგაზრდა მოქალაქეების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვით - თანამედროვე ტიპის ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას. ახალგაზრდული პოლიტიკა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ქვეყნის სოციალურ პოლიტიკას, რაც სხვა სოციალური ჯგუფების მსგავსად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მათ თანაბარ მონაწილეობასა და ჩართულობის მხარდაჭერას გულისხმობს. ამავდროულად, მათ უნდა გააჩნდეთ არა მარტო ჩართულობის, არამედ მასზე გავლენის მოხდენის საშუალებაც. სახელმწიფოს მხრიდან მატერიალური თუ არამატერიალური რესურსებით ახალგაზრდობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს მათი უფლებებისა და სამოქმედო არეალის ზრდით, რაც ქვეყნის განვითარების პროცესებში მომავალი თაობის მეტ ჩართულობას განაპირობებს, ჩართულობის ხარისხს კი მათი დამოუკიდებლობის ხელშეწყობა გაზრდის. მოხარული ვარ, რომ მაქვს სტუდენტებთან ურთიერთობა. ეს ძალიან საინტერესოა. მათ უმრავლესობას აქვს ჩამოყალიბებული შეხედულება ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური გარემოს შესახებ, აფასებენ ადამიანის უფლებების მდგომარეობას... მოკლედ, წლიდან წლამდე საკმაოდ ინფორმირებულ სტუდენტებს ვხვდები.

> ***„ ამ 7 წლის განმავლობაში ნამდვილად გადაიდგა ბევრი პროგრესული ნაბიჯი დისკრიმინაციულ დანაშაულებთან ბრძოლის, შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის და სხვა მიმართულებებით, თუმცა კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენება მაინც გამოწვევად რჩება. დისკრიმინაციის შემთხვევები, ყველაზე ხშირად, შრომით ურთიერთობებსა და სოციალური დაცვის სისტემით სარგებლობისას გვხვდება***

ახალსოფლის სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია-მშენებლობა იგეგმება

მე-2 გვერდიდან

პროექტი, ასევე, მოიცავს 105X68 მ ბუნებრივსაფარიან ღია საფეხბურთო სტადიონს 400-ადგილიანი გადახურული ტრიბუნით. სტადიონის რეაბილიტაციისას უნდა მოეწყოს სტანდარტების შესაბამისი სადრენაჟე სისტემა, სათადარიგო ფეხბურთელების და მწვრთნელების დასაჯდომი ადგილები, ვიდეოგადაღებისთვის საჭირო კოშკურა. გამარჯვებულმა კომპანიამ პროექტის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოს მაღალი ხარისხის თანამედროვე სამშენებლო სტანდარტები. იგი ასევე უნდა მოიცავდეს ზოგად ინსტრუქციებს და რეკომენდაციებს შენობის ექსპლუატაციისთვის, ისევე როგორც დეტალურ სპეციფიკაციებს გამოყენებული მასალის, მუშაობის მეთოდებისა და ხარისხის გასაკონტროლებლად. პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობის სქემა, მათ შორის სახანძრო-სამაშველო და შშმ პირთათვის, ევაკუაციის გეგმა და სახანძრო სისტემები, გარე და შიდა საინჟინრო კომუნიკაციები, წყალმომარაგება-კანალიზაცია, ელექტრომომარაგება, გათბობა-გაგრილება და ვენტილაცია, გარე სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემები. ტერიტორიის დაგეგმარება უნდა იყოს სრულ შესაბამისობაში სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან. საპროექტო კომპანიამ უნდა იხელმძღვანელოს საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამკვეთთან შეთანხმებით. ასევე, უნდა გაითვალისწინოს საპროექტო ტერიტორიის სპეციფიკა, შესაბამისად დაგეგმოს სპორტული კომპლექსის ავტოსადგომები და ტერიტორიის კეთილმოწყობა. მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი გარემოზე ზემოქმედება. გამოყენებული მასალები უნდა იყოს თანამედროვე, პრაქტიკული, მარტივად დასამუშავებელი და ეკოლოგიურად სუფთა. ობიექტი სრულად უნდა იყოს ადაპტირებული შშმ პირებზე. ყველა დოკუმენტი მონაწილეობის მსურველმა კომპანიამ უნდა წარადგინოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინსტრუქციის შესაბამისად. პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები.

ია შველიძე

რუსეთმა ევროპას გაზის მიწოდება შეუწყვიტა

გუშინ საღამოს რუსულმა „გაზპრომმა“, გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადზე“ არსებული გაუმართაობის გამო, ევროპას გაზის მიწოდება სრულად შეუწყვიტა, - აღნიშნულ ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ ავრცელებს.

კომპანია სოციალურ ქსელში წერს, რომ რეგლამენტით გათვალისწინებული სამუშაოების დროს საკომპრესორო სადგურზე - გაზსაქაჩ აგრეგატზე ზეთის გაჟონვა დაფიქსირდა. „გამოვლენილი დარღვევების გამო, აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება“, - ნათქვამია განცხადებაში. გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ „გაზპრომმა“ უკვე გაუგზავნა წერილი Siemens Energy AG-ის პრეზიდენტსა და აღმასრულებელ დირექტორ კრისტიან ბრუჩს.

„ჩრდილოეთის ნაკადი“ რუსეთიდან ევროპაში გაზის მიწოდების ძირითადი მარშრუტია, რომელიც ივნისის შუა რიცხვებიდან შეზღუდვებით მუშაობს, 20 ივლისიდან კი მისი დატვირთვა 20%-ს შეადგენს.

ამირან გურიელიძე

„ᲖᲦᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲜᲐᲜᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ 577 20 35 90

რომში, იტალიის დედაქალაქში გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე „კრეატიულობა საზღვრებს გარეშე 2022“ სტუდია „ზღვის შვილებმა“ გაიმარჯვა. მათ ასევე, სხვადასხვა ნომინაციაშიც გაიმარჯვეს. კონკურსზე მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატების შესახებ გვესაუბრება „ზღვის შვილების“ მუსიკალური ხელმძღვანელი და ამავე დროს, აღნიშნულ ფესტივალზე მიწვეული ჟიურის წევრი ***ნონა ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ.***

- პირველ რიგში, გაზეთის სახელით გილოცავთ წარმატებას. მოგვიყევით მუსიკალურ ფესტივალზე, რომელზეც მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეთ...

- ეს იყო საერთაშორისო ფესტივალი, „Creativita senza frontiere 2022“ რომელზეც ჩვენი ანსამბლი იყო მიწვეული. როგორც მოგეხსენებათ, ასეთი ფესტივალები ასაკობრივ კატეგორიებად არის დაყოფილი. ჩვენი ანსამბლიდან მონაწილეობა მიიღო 8 ბავშვმა. გრან პრის ჩათვლით, რომელიც თეკლა ჩაგანავას გადაეცა, თითქმის ყველა საპრიზო ადგილი მოვიპოვეთ.

- რა განცდაა, როცა უცხო ქვეყანაში გამარჯვებულად გაცხადებენ...

- საოცარი განცდაა, როცა შენ, ერთი პატარა, მაგრამ დიდი ისტორიის ქვეყნის წარმომადგენელს, გამარჯვებულად გასახელებენ. ეს იყო საოცარი შეგრძნება, ენით აუწერელი შთაბეჭდილებები და სიხარული.

- რა რეპერტუარით წარსდექით მსმენელის წინაშე და როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თქვენი წარმატება?

- ჩვენმა ბავშვებმა იმღერეს შემდეგ კატეგორიებში: ჯაზი, პოპი, ქალაქური, ფოლკლორი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კვარტეტის მიერ შესრულებული ქალაქური ფოლკლორი, რაშიც პირველი ადგილი ავიღეთ. ეს იყო დამსახურებული აღიარება და კიდევ ერთხელ ვულოცავ „ზღვის შვილებს“ ამ საოცარ შედეგს.

- „ზღვის შვილებმა“ არაერთი თაობა აღზარდა. მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ რეგიონის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებაში...

- მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი თაობა მოდის, რაც მიხარია, ჩვენ კი ბავშვებს ვაძლევთ სწორ მიმართულებას. აქვე მინდა აღვნიშნო აჭარის მთავრობის ხელშეწყობა და თანადგომა. მადლობა მინდა გადავუხადო ასევე, „ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრს“, მათი დახმარებით შევძელით რომში გამგზავრება.

- როგორც ვიცი, მალე ანსამბლს საიუბილეო თარიღი უსრულდება. რა სიახლეებს უნდა ველოდოთ „ზღვის შვილებისგან“...

- ვემზადებით იუბილესთვის და მაყურებელს ვპირდებით ძალიან ლამაზ მუსიკალურ საღამოს.

- როგორც მუსიკალური ხელმძღვანელი, რას მიიჩნევთ ანსამბლის უწყვეტი წინსვლისა და წარმატების მიზეზად?

- ვფიქრობ, ჩვენი წარმატების მიზეზი ნიჭიერი ბავშვები და დაუღალავი შრომაა. მუდმივად ვცდილობთ, ხარისხიანი მუსიკა შევაყვაროთ ახალგაზრდებს, გზა გავუკვალოთ წარმატებისა და აღიარებისკენ.

- როგორი რეაქციები აქვთ უცხოეთში, როცა ქართულ მრავალხმიანობას ისმენენ...

- ის ემოცია არასოდეს დამავიწყდება, როცა ჩვენმა ბავშვებმა პირველი აკორდები გააჟღერეს, თვალწინ მიდგას ჟიურის წევრთა სახეები, მაყურებლის ოვაციები და ქართველი ემიგრანტების ცრემლიანი თვალები. ეს ყველაფერი ქმნიდა დიდი სიხარულისა და სიყვარულის მუხტს, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქართული სიმღერა, ცეკვა, ფოლკლორი, ყოველთვის იქნება ის შეუფასებელი განძი, რომლითაც სულ ვამაყობდით და ვიამაყებთ მომავალშიც, რომლითაც აღვაფრთოვანებთ მსოფლიოს. სადაც მივდივართ, ყველგან დიდი სითბოთი და სიხარულით გვხვდებიან. მადლობა „ზღვის შვილების“ თითოეულ გულშემატკივარს, წინ არაერთ სასიამოვნო სიახლეს გპირდებით.

„ᲛᲘᲜᲓᲝᲚᲓᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲔᲜᲐᲮᲐᲗ“

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲮᲘᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 27 48 93

ᲛᲘᲥᲐᲔᲚ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ *მხატვრობის თავისებური სტილი აქვს. მისი ყველასგან განსხვავებული ნახატები ღრმა შინაარსით და ინდივიდუალიზმით გამოირჩევა, რაც, ბუნებრივია, ნამუშევრებს უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის.*

მიქაელს საზოგადოება „ნემეზისის“ ფსევდონიმით იცნობს. როგორც თავად გვითხრა, ამ სახელით მუშაობის ერთი დიდი ეტაპი მის ცხოვრებაში დასრულდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მიქაელის ნახატებს არა სახელწოდება, არამედ სათაურები აქვს, რადგან თითოეული მათგანი ისტორიას ჰყვება.

რა პრინციპით არჩევს თემატიკას, რა არის მისი ინსპირაციის წყარო და მხატვრობის გარდა, რით არის დაინტერესებული - ამ და სხვა თემებზე ჩვენი რესპონდენტი თავად გვესაუბრება.

- მიქაელ, როდის ეზიარეთ პირველად მხატვრობას?

- დავიბადე ქალაქ პროკოპიევსკში, რუსეთში, კემეროვოს ოლქში. შემდეგ ჩემი მშობლები საქართველოში, აჭარაში, კერძოდ, ხულოს რაიონში დაბრუნდნენ. დავამთავრე ხულოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სკოლა. როცა მშობლებმა სახვითი ხელოვნების მიმართ ჩემი მიდრეკილება დაინახეს, ხულოს სამხატვრო სკოლაში შემიყვანეს, რომელიც 2013 წელს დავამთავრე. იმავე წელს ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ფილოსოფიის სპეციალობაზე.

- რატომ დაინტერესდით ამ სფეროთი?

- ადრეული ბავშვობიდან ვხატავ, დაახლოებით სამი წლიდან. პირველი გამოფენა სკოლაში მომიწყვეს, მაშინ მე-6 კლასში ვიყავი. შემდეგ პაუზა მქონდა, მერვე კლასიდან კი ძალიან დავინტერესდი სახვითი ხელოვნებით, მხატვრებით და მათი ნამუშევრებით. დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე სიურრეალისტურმა მიმდევრობამ. კლასიკური აკადემიური მხატვრობისგან განსხვავებით, ეს მიმართულება გაცილებით ახლობელი აღმოჩნდა, რადგან ნამუშევრების აღქმის პროცესი ძალიან საინტერესო იყო. ვეძებდი აზრს და შინაარს ისეთი მხატვრების ნამუშევრებში, როგორებიც არიან: სალვადორ დალი, რენე მაგრიტი და ჰანს გიგერი. შედეგად, გამიჩნდა ძლიერი ინტერესი, შემესწავლა ფორმის და სიმბოლოს აზრობრივი დატვირთვა. მახსოვს, მაღალ კლასებში, გაკვეთილებს შორის შესვენებაზე, ასევე, ფიზკულტურის გაკვეთილის ნაცვლად, ბიბლიოთეკაში ვიჯექი. სიმბოლოების ენციკლოპედიას და სხვადასხვა ლიტერატურას ვკითხულობდი, რამაც სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა კულტურასა თუ რელიგიაში დამკვიდრებულ სიმბოლიზმსა და მის გაგებასთან დამაახლოვა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ეს პერიოდი საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჩემთვის. მოხდა რადიკალური დაპირისპირება შინაგანი სამყაროს ჩვენეულ გაგებასა და რეალობას შორის, რადგან რეალობა საერთოდ არ აღმოჩნდა ისეთი, როგორც გვიყვებიან. გამიჩნდა ისეთი პროტესტის გრძნობა, რომელიც ალბათ, ამ ასაკში ყველაფერს თავდაყირა აყენებს. თუმცა, ჩემთვის საინტერესო იყო, ჩავძიებოდი იმ მიზეზებს, თუ რატომ იყო გარემო ისეთი, როგორიც იყო და რა ამოძრავებდათ ადამიანებს ემოქმედათ ისე, როგორც მოქმედებდნენ. პასუხს რელიგიაც ვერ მაძლევდა, რადგან ის ამბობს, როგორი „უნდა“ იყოს და არა - როგორც არის (არავის რელიგიურ გრძნობებს არ ვაყენებ შეურაცხყოფას. ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ვსაუბრობ და არ მაქვს პრეტენზია ობიექტურობაზე). დავინტერესდი ფსიქოლოგიით. მახსოვს, ინტერნეტში ფსიქოლოგიურ სტატიებს და ლიტერატურას ვეძებდი. ვკითხულობდი ჟურნალებში ფსიქოლოგთან ანონიმურ წერილებს და ფსიქოლოგის პასუხებს მათზე. ჩემთვის შემოქმედება იქცა არა მხოლოდ ინტერესის სფეროდ, არამედ გადარჩენის გზად - როცა მეგონა, რომ ყველაფერი ცუდად იყო, ხატვა მეხმარებოდა და გარკვეული კათარზისის შეგრძნებას მაძლევდა. შემდეგ კი ყველაფერი ზემოთ ხსენებული - ფილოსოფია და ჩემი შეგრძნებები, ერთმანეთს შეერწყა.

- რა კონცეფციით გაჩნდა ფსევდონიმი „მიქაელ ნემეზისი“?

- ნემეზიდა ბერძნულ მითოლოგიაში იყო შურისძიების ღვთაება. ის სჯიდა ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებრივ და ღმერთებისგან მოცემულ წესრიგს არღვევდნენ. ჩემი სახელი „მიქაელი“ კი, რომელიც მთავარანგელოზის პატივსაცემად დამარქვეს, ივრითიდან ასე ითარგმნება: „რომელი ვითარცა ღმერთი“. კონცეფცია კი ასეთია: თუ ჩემში არის ღვთიური ნაწილიც და სამყარო ჰგავს ტაძარს, რომელშიც სიკეთის სახელით სიცრუე და ბოროტებაა გამეფებული, მაშინ ჩემი შურისძიება იქნება ამ სამყაროს მიმართ, რომ ჩამოვგლიჯო ფარისევლობის და სიცრუის ნიღაბი და ვამხილო ის ჩემს შემოქმედებაში. მინდოდა, ადამიანებს ჩემს ნახატებში საკუთარი თავი დაენახათ და ამოეცნოთ. 2020 წლიდან ვაწერ ჩემს სახელს - მიქაელი, ჩემ მიერვე შექმნილი ხელმოწერით. ვფიქრობ, ნამუშევრები ფსევდონიმით „ნემეზისი“ ერთ დიდ ეტაპს ასახავდა ჩემს ცხოვრებაში, რომელიც დამთავრდა.

- თქვენი ნახატები ღრმა შინაარსით გამოირჩევა, რა პრინციპით არჩევთ თემატიკას და რატომ?

- შეიძლება ითქვას, თემატიკას არც ვარჩევ, უბრალოდ, ჩემი გონება მიეჩვია სიტყვების და წინადადებების ხატოვნად წარმოსახვას. შესაბამისად, როცა საინტერესო რამეზე ვფიქრობ, ან საინტერესო საუბარში ვმონაწილეობ, მუდმივად ვარ ამ პროცესში. თუ ეს ხატება შინაარსს შეესაბამება და ვიზუალურადაც მომწონს, ის დროთა განმავლობაში აუცილებლად გადავა ტილოზე, ღრმა შინაარსი კი იმიტომ აქვს, რომ არ მიყვარს ნამუშევარში კონკრეტულად ერთი გზის, იდეის, ცნების ან მოვლენის ცალმხრივად აღწერა. ნახატებს ვარქმევ სათაურებს და არა სახელს იმიტომ, რომ მათში დიალოგია, ისტორიაა და წარმოიდგინეთ, რომ ის ფერით და ფორმით არის დაწერილი. ყოველთვის მაქვს იდეა და საკუთარი ნამუშევრების იდეებს დროში უბრალოდ ვერ ვეწევი, ამიტომ მუდმივად ვმუშაობ.

- ძირითადად, რა არის თქვენი შთაგონების წყარო?

- აბსოლუტურად ყველა ნამუშევარში ადამიანის ან ადამიანების ისტორიაა. ჩემი შთაგონების ამოუწურავი წყარო ადამიანია და ყველაფერი მასთან დაკავშირებული თუ მის მიერ შექმნილი. ბუნება კანონზომიერია და მისივე კანონზომიერებას ემორჩილება, ადამიანი კი ქაოსურია და ვფიქრობ, კოსმოსში ცალკე პატარა სამყაროა თითოეული ჩვენგანი.

- მხატვრობა, როგორც შემოსავლის წყარო?

- უამრავ სამსახურში მიმუშავია, დაწყებული ფიზიკური შრომით და მომსახურების სფეროთი დამთავრებული. არსად ვიყავი ბედნიერი. 3 წლის წინ ავარიაში მოვყევი და 6 თვე ეტლში ვიჯექი. საკმაოდ რთული პერიოდი იყო ჩემი ოჯახისთვის და ამასობაში, სამსახურიც დავკარგე. დავრჩი მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებთან მარტო და კითხვასთან - რა შემეძლო, როგორც ყოველთვის, შემოქმედებითმა პროცესმა და ხატვამ გამომიყვანა ფსიქოლოგიურადაც და ეკონომიკურადაც რთული სიტუაციიდან. უკვე 5 წელია, მხატვრობა იქცა ჩემს ერთადერთ შემოსავლის წყაროდ. უფრო მეტი შემართებით ვხატავ, რადგან უდიდესი ბედნიერებაა, როცა აკეთებ იმას, რაც ყველაზე ძალიან მოგწონს და ეს მოსწონთ სხვა ადამიანებსაც. ისინი მხარს გიჭერენ, რაც გაძლევს შესაძლებლობას, იზრუნო საყვარელ ადამიანებზე და გქონდეს შემოქმედებისთვის მეტი რესურსი, ჩემი შემოსავლის ძირითადი წყარო კი ინტერნეტპლატფორმაა.

> ***„3 წლის წინ ავარიაში მოვყევი და 6 თვე ეტლში ვიჯექი. საკმაოდ რთული პერიოდი იყო ჩემი ოჯახისთვის და ამასობაში, სამსახურიც დავკარგე. დავრჩი მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებთან მარტო და კითხვასთან - რა შემეძლო, როგორც ყოველთვის, შემოქმედებითმა პროცესმა და ხატვამ გამომიყვანა ფსიქოლოგიურადაც და ეკონომიკურადაც რთული სიტუაციიდან***



იხ. მე-7 გვ.

"როგორც შვილის სიყვარულს გრძნობ გულით, ასევე გრძნობს პოეტი თითოეულ სტრიქონს"

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ლეილა ლემსაძე შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთის ლომსიანეთის უბანში დაიბადა. მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილს უფალმა პოეზიის ნიჭი დაანთლა. იგი მალე ლექსების მესამე კრებულით წარსდგება მკითხველის წინაშე. შუახეველ პოეტ ქალთაგან ამ ასაკში ასეთი აღიარება არავის ჰქონია. ლეილა ჩვენი გაზეთის სტუმარია.

- ლომსიანეთი მცირედ დასახლებული უბანია, ეროვნული მეურნეობის თითქმის ყველა დარგის სპეციალისტი და არაერთი ცნობილი მეცნიერია აქ დაბადებული. ქალთაგან პოეზიის მუზასთან დამეგობრების თვალსაზრისით აქ პირველი ხართ, ეს როგორ მოხდა?

- დიდი მადლობა, ჩემთვის პატივია, ვიყო თქვენი გაზეთის სტუმარი. რაც შეეხება კითხვას, ყველაფერი, რა თქმა უნდა, ღვთის ნებაა, თუმცა ზოგიერთი რამ გადამდებია ცხოვრებაში, ირგვლივ ამდენი შემოქმედი თუ მეცნიერი მეზობელი რომ გვყავს, გიჩნდება ამბიცია, რაიმე შენც გააკეთო, დიახ, ესეცაა, მაგრამ ლექსებს რომ ვწერ, ეს მაინც დედაჩემის დამსახურებაა, დედამ იცოდა, რომ მე რაღაც ლექსების მაგვარს ვწერდი და ვანადგურებდი. მრცხვენოდა, რომ მეთქვა, ლექსი დავწერე-მეთქი. დედა სულ მარიგებდა, არ დახიო დაწერილი ლექსი, მჯერა, შვილო, ეგ ლექსები მზის სხივს იხილავსო... აი, ასეც მოხდა.

- თქვენი პოეზია მეტწილად ლირიკულია, სხვა ჟანრშიც ხომ არ აპირებთ ბედის ცდას?

- იცით, ვთვლი, რომ ჩემი ლექსები ყოველთვის სხვადასხვა ჟანრს მიეკუთვნება, მიუხედავად იმისა, რომ არა მაქვს ცვალებადი ხასიათი, ისინი სახესა და ჟანრს ხშირად იცვლიან. გპირდებით, რომ აუცილებლად მექნება განსხვავებული ლექსები. მიყვარს იუმორი, ამ ჟანრსაც მინდა ჩავწვდე.

- მამა ღვთის მსახურია, დედა დიასახლისი. თქვენს შემოქმედებაში მათი როლი როგორია?

- ყველაზე მეტად მიყვარს ეს შეკითხვა, მცირე შესწორებას შევიტან - დედა დიასახლისიცაა და ბებიაქალიც. მთის სოფლებში სტიქია რომ მძვინვარებდა, დედაჩემი ერთ-ერთი იყო, ვინც მშობიარე ქალებს მიეშველებოდა, იგი 38-ზე მეტ ბავშვს დაეხმარა ამქვეყნად მოსვლაში. დიახ, მამა ღვთის მსახურია, სწორედაც მისი დამსახურებაა, რომ შვილებს ღმერთის სიყვარული, რწმენა და სიმტკიცე სულში გვაქვს გამჯდარი. მათი როლი უპირველესია ჩემს შემოქმედებაში, დედაჩემი გახლდათ ჩემი მოტივატორი და პირველი მკითხველი. სწორედ დედა მაგულიანებდა, წერე, წერე შვილო, ვინ იცის, რა დრო დადგება, ერთ დღეს ყველა გაიგებს შენი ლექსების სიტკბოსო... არასდროს მაკლდა მათი მხარდაჭერა და მოწოდება. ჩემი პირველი წიგნი „დავხეტიალობ მე ჩემს წარსულში“ სწორედ ჩემს საყვარელ დედ-მამას მივუძღვენი.

- ძმებიც დიდი ძალაა დისთვის, ასე არაა?

- მათი არსებობა მინათებს სულსაც და გულსაც. შემიძლია ვთქვა ხმამაღლა და სიამაყით, ყველაზე მაგარი ძმები მყავს, მე ჩემი ძმების გაზრდილი ვარ, მათი მხარდაჭერით გავაგრძელე სწავლა უნივერსიტეტში, მიჭირს თუ მილხინს, ვიცი, რომ გვერდით ორი დიდი ძალა და იმედი მყავს. დედასთან ერთად ჩემი პირველი მკითხველი და შემფასებელი უფროსი ძმა ცეზარია, ხშირად ვიღებ მისგან შენიშვნებს და რჩევებს, მალე ჩემი ლექსების კიდევ ერთი კრებული გამოვა და ეს წიგნი ჩემი ძმების ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდება, აი, ასე მასულდგმულებენ ჩემი ყოვლისშემძლე ძმები.

- ყველა პოეტს აქვს გამორჩეული ლექსი, რომელს გამოარჩევდით?

- მართალი ხართ. ყველას გვაქვს სულში მძივად ჩამარხული ლექსი, მე აი, ამ ლექსს გამოვარჩევ, რადგან მთა მიყვარს მისი ისტორიით:

აგერ ჩემი სახლი, ნდობის
საბადური.
წარსულის გული და მუდამ
საამური,
აგერ ჩემი ეზო სულ
ფაფარაშლილი,
აგერ ჩემი გულიც მასში
ჩამარხული.
სევდამ ჩამიყოლა კიდეც ჩამწყდა
გული,
როგორ დაკარგულა წლები
ყამგასული,
სევდა მომეძალა ენით ჯერ
ართქმული,
მონატრებით გასკდა მთაო,
ჩემი გული.
აგერ ნენეს ლოცვა ჩადრში
დამალული,
გაღმით დედეს ფაცხა კალმით
დახატული,
აგერ ჩემი სული ცრემლით
დანამული,
კიდევ ჩემი სახლი სევდის საბადური.
ფეხით მოვიარე მთები მთების
გულიც,
ჩემი ქუთლული და ტბები
არნახული,
ველი გადავთელე ფეხით
იელიანი,
სახლში ბილიკს მოვყევ,
არის წვიმიანი.
სახლის კარი ღია, კვამლი ცად
ასული,
გრძნობა დამეუფლა, ღმერთო, არ
ნახული,
ღმერთო, დამილოცე ქოხი
თავადური.
ჩემი პაწაწინა სევდის საბადური.

- წინადადება ან ხატოვანი გამოთქმა, რომელსაც ლექსებში ხშირად იმეორებთ?

- ლექსებში ხშირად უფალს ვახსენებ, რომლის სიყვარულის გარეშე წამი არ მისუნთქია, რომლის სიყვარულის წყალობით გადავლახე ცხოვრებაში ბევრი პრობლემა, ამიტომაც ჩემს ლექსებში ხშირად ნახავთ ფრაზებს: „მადლობა, ღმერთო“ და „ღმერთო გევედრები“.

- რა ასაკში აგედევნათ პოეზიის მუზა?

- როგორც დედა ამბობს, სკოლაში შესულიც არ ვიყავი, როცა ჩემებურად, ზეპირად ვაყალიბებდი სტრიქონებს. პირველი ლექსი დავწერე პირველ კლასში, მაშინ დედა დროებით აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა. მომენატრნენ მშობლები, ნახვას რომ ვერ ვახერხებდი, მონატრება სტრიქონებში გადავიტანე: „ახლა ღამდება და გული მეწვის, დღესაც უშედეგოდ, ტყუილა გიცდი, მე კი მომენატრე, ჩემო დედი, როგორ მყვარებიხარ, მომკლავს დარდი“.

- რომელმა მასწავლებელმა მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული გავლენა?

- ყველა პედაგოგები კარგი მყავდა, უდავოდ. მაგრამ დღეს თუ რაიმეს ვწერ, ეს ბატონი რამინ ბახტაძის დამსახურებაა, მისი წაკითხული ლექსი და გაშინაარსება ახლაც ჩამესმის. ჩემი მეგობარი-პედაგოგი ქალბატონი ნონა ჯაფარიძე გახლავთ, ვისთანაც შემეძლო მესაუბრა ყველა თემაზე და ეს დღემდე გრძელდება. აქვე მადლობას გადავუხდი მათ, რომ არსებობენ ჩვენს ცხოვრებაში.

- ვის ანდეთ ლექსების პირველი კრებულის რედაქტორობა?

- დღეს რომ ვდგავარ საზოგადოების წინაშე, ხმამაღლა ვკითხულობ ლექსს და გამოვცემ კრებულებს, ეს ბატონ ვახტანგ გოგრაჭაძის დამსახურებაა, ის პირველი კითხულობდა ინტერნეტსივრცეში ჩემს ლექსებს. მითხრა, მომწონს შენი ლექსები და მოდი გამოვამზეურო-თო. შედეგიც მოჰყვა. მადლობა ვახტანგ გოგრაჭაძეს, ხელი შემაშველა, რომ მეთქვა ჩემი სიტყვა პოეზიაში. რაც შეეხება ჩემს პირველ კრებულს - „დავხეტიალობ მე ჩემს წარსულში“, მისი რედაქტორობა საგანმანათლებლო ორგანიზაცია „მწიგნობარის“ ხელმძღვანელ ქალბატონ მანანა წულუკიძეს ვანდე და არ შევმცდარვარ. მყავს მრავალი კარგი მკითხველი.

- პოეტები ხშირად საკუთარ ლექსებზე უკეთ სხვისას კითხულობენ, ვისი ლექსების წაკითხვა გიყვართ?

- პოეზია ისე მიყვარს, ყველა პოეტის ლექსი წამიკითხავს, გულში მწვდება ნანა შაინიძის ლექსები, მაგრამ გალაკტიონი ჩემთვის უბადლო და მარადიულია.

- ზოგიერთი პოეტი, მწერალი წიგნს შვილს ადარებს, თქვენთვის თუ გამოდგება ეს შედარება?

- დიახ ბატონო, სრული ჭეშმარიტებაა, სწორედ ასეა, როგორი სითბოთი და სიყვარულით ელოდები შვილს, ასევეა წიგნის გამოსვლის დროსაც. მახსოვს, რაოდენ ემოციური იყო ჩემი პირველი წიგნის გამოსვლა, მართლაც შვილივით მიყვარს. როგორც შვილის სიყვარულს გრძნობ გულით, ასევე გრძნობს პოეტი თითოეულ სტრიქონს.

- ღირსეული შვილის გაზრდაა მთავარი, თუ კარგი ლექსის დაწერა?

- ტანში ჟრუანტელმა დამიარა ამ შეკითხვაზე, შვილის სიყვარული ყველაზე გულწრფელი გრძნობაა. ეს სიყვარული იარასავით მატყვია გულზე. შეუღლებიდან 6 წლის მერე გამიჩნდა ანრი და მის სიყვარულს ყველა გრძნობაზე მაღლა ვაყენებ. უმთავრესია, უპირველესია ღირსეული შვილის გაზრდა. უფალმა ყველას შეგვაძლებინოს ღირსეულად აღვზარდოთ შვილები (ამ ეტაპზე არ ვუჩივი ბედს, მართლა ღირსეული ბიჭია ჩემი ანრი, ის უკვე 17 წლისაა). ბედმა თემურ აბაშიძის სახით ერთგული და ოჯახის მოსიყვარულე მეუღლე მარგუნა. ვინაიდან წიგნის გამოცემაც შვილის დაბადებას ჰგავს, ეს ორივე გრძნობა ერწყმის ერთმანეთს - თუ აღზრდი ღირსეულ შვილს, ჩაუნერგავ ღმერთისა და ერის სიყვარულს, მაშინ ლექსიც აუცილებლად კარგი გამოგივა და პირიქით, თუ ლექსებში კარგად ქარგავ ქვეყნისა და ადამიანთა სიყვარულს, მაშინ შვილსაც კარგად აღზრდი. დიახ, ის უპირველესია.

- ლექსისთვის ყოველთვის განმარტოება გჭირდებათ?

- რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მნიშვნელობა არა აქვს, სად და როდის ვწერ, ვწერ სადაც არ უნდა ვიყო, რა საქმესაც არ უნდა ვაკეთებდე, ლექსი ყავის მოხარშვას ჰგავს, დადგამ ცეცხლზე და ამოდუღდება, გულში ცეცხლი დაინთება და მუზა სტრიქონებად ამოიფრქვევა. ისე, სხვებისგან განსხვავებით, მე ვერ ვწერ, როცა ბედნიერი ვარ, ვწერ მაშინ, როცა მტკივა, როცა განვიცდი და ყველაზე გულწრფელი ვარ მაშინ, მახსოვს, ბათუმში პლაზის ტერიტორიიდან ხოფაზე გასვლამდე სამარშრუტო ავტობუსში დავწერე 11 სტროფი ლექსი. მოკლედ, ვწერ ყველგან და ყოველთვის, როცა მუზა გულში და გონებაში ფათუნს იწყებს.

- ადგილობრივი კულინარიისთვის დამახასიათებელი კერძებიდან რომლის მომზადება გიყვართ?

- კერძების კეთება ძალიან მიყვარს, ხელსაც მიქებენ და საუკეთესოებსაც ვამზადებ, სიამოვნებით ვაკეთებ „სინორს“ და „ჩაქაფულს“.

- სამზარეულოში მოფუსფუსეს ლექსი თუ დაგიწერიათ?

-კი, ბატონო, რამდენიც გნებავთ, მახსოვს, სტუმრები მოდიოდნენ, ძალიან ვჩქარობდით, კერძები დროულად უნდა მოგვემზადებინა. უცებ გონებაში წამოვიდა სტრიქონები, მივატოვე კერძების კეთება და წერა დავიწყე. ხანდახან ჩუმად რომ ვარ და კითხვაზე არავის ვპასუხობ, ესე იგი ვწერ და ხელს არავინ მიშლის ...

- თქვენი ბაბუა შერიფი ხეობაში ბრძენ კაცად ითვლებოდა, სანაქებო მჭედელიც იყო. რას გაიხსენებდით მასთან დაკავშირებით?

- მადლობა, რომ ჩემი დიდებული ბაბუა გაიხსენეთ. ჩემთვის ბედნიერებაა ბრძენი კაცის შვილიშვილობა, ბევრი გავიზარდეთ ბაბუის დარიგებებით. ახლაც ჩამესმის მისი ხმა: „შვილებო, რაც არ უნდა გაგიჭირდეთ, ტყუილი არასდროს თქვათ, მეგობარს, მეზობელს არ უღალატოთ, არ იორპიროთ“. შემიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ ყოველ წამს მახსოვს მისი დარიგება და ვთვლი, რომ მატყუარა კი არა, ყველაზე პირდაპირი და გულწრფელი ვარ.

- ასაკში შესული პოეტები კბილს პროზასაც უსინჯავენ. თქვენ კი ადრევე ხომ არ დაიწყეთ ნოველების, მოთხრობების წერა?

- უი, მგონი ნაადრევად მეწვია სიბერე. მალე გექნებათ ჩემი წიგნი, სადაც შესულია ლექსებთან ერთად, ერთი რომანი და ერთიც მოთხრობა. აჭარის მწერალთა სახლის დირექტორმა, ქალბატონმა ლალი კონცელიძემ მითხრა, შენ მწერალიც უნდა დადგე, ძალიან შთამბეჭდავია შენი პროზაო. ასევე, ქალბატონმა ცისანა ანთაძემ გამახარა, სანამ რომანი ბოლომდე არ წავიკითხე, ჭამაც არ გამხსენებიაო. მოკლედ, უკვე შევეჭიდე როგორც მოთხრობების, ასევე რომანის წერასაც.

- საცხოვრებლად ბათუმზე უკეთესი რომელი ქალაქი გეგულებათ?

- რა დალევს ლამაზ ქალაქებს, სად არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი ბათუმი სულ სხვაგვარია - პატარა, გულში ჩასატევი და გარინდული. .ყოველ დილით გადმოვყურებ ბათუმს, ვიძირები მის სიყვარულში და ვღიღინებ გულში: „ბათუმს ქათქათას...“

- როგორ რეაგირებთ აჭარის მთიანეთში დავანებულ ხალხურ დღესასწაულებზე?

- გული მინათდება, სურვილი მკლავს, სულ მინდა ვიყო ასეთ დღესასწაულებზე. მადლობა უფალს, შევძელი დავსწრებოდი „შუამთობის“, „კოტიჯვრის“ და, რაც მთავარია, „ჯვარიმინდორობის“ დღესასწაულებს. სიტყვები არ მყოფნის, მადლიერება რომ გამოვხატო. ვინც ბოლო წლებში დადიოდა ამ დღესასწაულებზე, დამერწმუნება, უბრალო ქელეხისგან არ განსხვავდებოდა, არ მინახია ისეთი ორგანიზებული, მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიებები, როგორიც წელს იყო. ვისარგებლებ შემთხვევით და ხელისუფლების თითოეულ წევრს, ვისი თანადგომითაც გაიმართა ასეთი მრავლისმთქმელი და ლამაზი დღესასწაულები, მადლობა გადავუხადო. ძალა ერთობაშია. განსაკუთრებული მადლობა შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს თანადგომისთვის და მშრომელი კაცის გახარებისთვის.

- რამდენად ხართ ჩართული მშობლიურ ტბეთში წამოწყებულ სახალხო დღესასწაულში?

- ეს თემა, სამწუხაროდ, მტკივნეულია ჩემთვის. მხოლოდ ერთხელ შევძელი დასწრება. ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება ერთი დღით ადრე ან გვიან გაიმართოს, რადგან 28 აგვისტოს მარიამობაა. სხვა ღონისძიებებზე მიწევს გამოსვლა, ამ დროს კი ჩემი საბუდარი ტბეთი მრჩება მოუკითხავი. ჩემს სოფელში არასდროს ვარ ვინმეს მისაწვევი და არასდროს ვიქნები სტუმარი, მაგრამ, მერწმუნეთ, მრავალი კითხვა მაქვს ამ ღონისძიების ორგანიზატორებთან და იმედია, პასუხებსაც მივიღებ.

- რას დაამატებდით?

- ვერცერთი ქალის ცხოვრება ვერ შედგება, თუკი ოჯახი გვერდით არ დაუდგა. ამ მხრივ გამიმართლა. მყავს არაჩვეულებრივი ოჯახი და როგორც შეუძლიათ, მიდგანან გვერდით. ჩვენ მდიდრები არასდროს ვყოფილვართ. ჩვენი სიმდიდრე სიყვარული და პატივისცემაა. ჩემმა მეუღლემ მაჩუქა თავისუფლება და მას ძალიან ვუფრთხილდები. არ შემიძლია არ გავიხსენო ჩემი ძვირფასი დედამთილი, რომელიც კოვიდმა შეიწირა. მან მე ცხოვრება მასწავლა. ამქვეყნად რამე სამადლობელი თუ მაქვს უფალთან და მშობლებთან, ესაა ჩემი და-ძმები. რვანი ვართ. ეს ლემსაძეების ბატალიონია, ჭირსა თუ ლხინში დიდ იმედად რომ მაჩუქა ღმერთმა. მადლობა მათ, რომ მაცოცხლებენ.

შეხვედრა აშშ-ის თავდაცვის ატაშესთან

საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაიამ აშშ-ის თავდაცვის ახალდანიშნულ ატაშე ჯოზეფ ბილბოსთან გაცნობითი შეხვედრა გამართა. ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს. შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო და ქართულ-ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობის მიმართულებები მიმოიხილეს.

„ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია. ჩვენ ძალიან მჭიდრო და პროდუქტიული ურთიერთობები გვაქვს თავდაცვის სფეროში და თავდაცვის ატაშესთან შეხვედრაზე ამ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების საკითხებს შევეხეთ. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ეხმარება თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში და ეს გამოიხატება როგორც ფინანსურად, ასევე შეიარაღებით, სამხედრო წვრთნებით და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებით. ქართულ-ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობა არის მყარი, რომელიც ურთიერთმხარდაჭერას და ურთიერთნდობას ემყარება“, - განაცხადა ირაკლი ბერაიამ.

შეხვედრას თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ვლადიმერ ჩაჩიბაია და საელჩოს პოლიტიკური ოფიცერი, მარინა იახნისი დაესწრნენ.

ამირან გურიელიძე

რწმუნებათა სიგელების ასლი – ილია დარჩიაშვილს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს ევროკავშირის ახალმა ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ რწმუნებათა სიგელების ასლი გადასცა. ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს



„შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის ფართო სპექტრი, მათ შორის მიმდინარე წლის ივნისში ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების საკითხი. მინისტრმა ელჩს ინფორმაცია მიაწოდა ევროპული საბჭოს 12 პრიორიტეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მხარეებმა ასევე განიხილეს მიმდინარე წლის 6 სექტემბერს ბრიუსელში დაგეგმილი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები. ევროკავშირის დელეგაციის ახალი ხელმძღვანელი მიესალმა გასულ კვირას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაში. ასევე განხილულ იქნა ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება და ევროკავშირის როლი რეგიონის სტაბილურობის უზრუნველყოფის კუთხით. ელჩმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა ევროკავშირის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

დღეს „ჩაქვისთავობაა“

ყოველწლიურად, სექტემბერში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, ჩაქვისწყლის ხეობის სახალხო ზეიმი „ჩაქვისთავობა“ იმართება, რომელიც დაბა ჩაქვის, ხალას, საჩინოსა და ჩაისუბნის ტერიტორიულ ორგანოებს მოიცავს

დღეს სოფელ ჩაქვისთავში სახალხო დღესასწაული 13 საათზე დაიწყება. ტერიტორიაზე უკვე მოეწყო მოსასვენებელი სივრცეები და დეკორაციები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება სპორტული შეჯიბრებები ნარდში, ჭადრაკსა და მკლავჭიდში, ჩატარდება კულინარიული და ცეკვის მასტერკლასები, მოეწყობა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები საკუთარ შემოქმედებას გააცნობენ სტუმრებსა და ტურისტებს.

ანკა ჩხიკვაძე

სუფრის ყურძენი ძვირდება

EastFruit-ის ანალიტიკოსების კვლევით, თეთრ ყურძენზე საშუალო საბითუმო ფასი კილოგრამზე 1,70 ლარს, ხოლო წითელი ყურძნის შემთხვევაში 2,00 ლარს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ წლიური ფასის ზრდა 10-30%-ია. აქამდე მაღალი ფასების რეკორდი შარშან დაფიქსირდა. გარდა იმისა, რომ საქართველოში ხილის, თხილისა და ბოსტნეულის მწარმოებლები ხშირად აფიქსირებენ წარმოებისა და მოვლის ხარჯების ზრდას, ბაზრის კვლევამ სუფრის ყურძნის ბიზნესში სპეციფიკური განვითარება გამოავლინა.

ამ სეზონზე სუფრის ყურძნის საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა გაფუჭდა, რაც წვიმიანმა ამინდებმა განაპირობა. ფერმერები, რომლებიც ამ რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ, იძულებულები გახდნენ, გადასამუშავებელი ყურძენი მესამედ ან მეოთხედ ფასად გაეყიდათ.

საცალო ქსელები ყოველწლიურად სულ უფრო მეტ სუფრის ყურძენს ითხოვენ, რადგან ეს სექტორი სწრაფად ვითარდება, ბოლო დროს, ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოელი ვიზიტიორების შემოსვლა კი მასზე მოთხოვნას კიდევ უფრო გაზრდის.

ამირან გურიელიძე

რუსული ნავთობის საფასურის ლიმიტი დაამტკიცეს

Sky News-ის ინფორმაციით, „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა ვირტუალური შეხვედრისას რუსული ნავთობის საფასურის ლიმიტი დაამტკიცეს. „ჩვენ შევზღუდავთ პუტინის შესაძლებლობას, დააფინანსოს თავისი ომი ნავთობის ექსპორტიდან საფასურის შეთანხმებულ ზღვარზე ზემოთ ისეთი სერვისების მიწოდების აკრძალვით, როგორიცაა დაზღვევა და დაფინანსება იმ გემებისთვის, რომლებსაც რუსული ნავთობი გადააქვთ“, - განაცხადა ბრიტანეთის ხაზინის კანცლერმა ნადჰიმ ზაჰავიმ.

მისი თქმით, G7 ქვეყნები ერთიანები არიან რუსული „ბარბაროსული აგრესიის წინააღმდეგ და ყველაფერს გააკეთებენ, რათა მხარი დაუჭირონ უკრაინას სუვერენიტეტის, დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაში“.

Financial Times-ის ცნობით, G7 ქვეყნების მიერ დამტკიცებული ლიმიტი ევროკავშირის ემბარგოს პირობების შესაბამისად იმოქმედებს. გამოცემის წყაროების ცნობით, 5 დეკემბრიდან იგეგმება ნავთობის ფასების შეზღუდვა, ხოლო მომავალი წლის 5 თებერვლიდან რუსულ ნავთობპროდუქტებზე შეზღუდვები დაწესდება.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

უკრაინის პორტებიდან 1-ელი აგვისტოს შემდეგ 1,67 მილიონ ტონაზე მეტი სურსათია ექსპორტირებული. ეს ინფორმაცია, სტამბოლის ერთობლივმა საკოორდინაციო ცენტრმა გაავრცელა. „1-ელი სექტემბრის მდგომარეობით, უკრაინის სამი პორტიდან ექსპორტირებული მარცვლეულისა და სხვა საკვები პროდუქტების მთლიანმა მოცულობამ 1 677 396 ტონა შეადგინა“, - ნათქვამია დოკუმენტში. შეგახსენებთ, უკრაინამ და რუსეთმა 22 ივლისს სტამბოლში, თურქეთისა და გაეროს შუამავლობით, გააფორმეს შეთანხმება უკრაინის სამი პორტის - ოდესის, ჩერნომორსკისა და იუჟნის განბლოკვისა და უკრაინიდან სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ექსპორტის შესახებ. ეს პორტები ბლოკირებული იყო მას მერე, რაც თებერვლის ბოლოს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. შეთანხმების განხორციელება 1-ელი აგვისტოდან დაიწყო.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ოკუპირებულ მელიტოპოლში რუსული ძალების საბრძოლო მასალის ორი საცავი გაანადგურეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. თვითმხილველების თქმით, აფეთქებები თითქმის მთელი ღამის განმავლობაში ისმოდა. ამასთან, ქალაქის მერ ივან ფედოროვის ინფორმაციით, უკრაინელმა სამხედროებმა მტრის ორ ლოკაციას ერთდროულად დაარტყეს. პირველი არის საბრძოლო მასალის საცავი აეროდრომთან, მეორის შესახებ კი ინფორმაცია ზუსტდება.

* * *

სლობოჟანსკის მიმართულებით მტერი ატარებს საბრძოლო მოქმედებებს ხარკოვის ოლქში ოკუპირებულ საზღვრებსა და ლოგისტიკურ მარშრუტებზე კონტროლის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. უწყების ცნობით, მოწინააღმდეგე ცდილობს, უკრაინის ჯარის თავდაცვაში სუსტი წერტილები იპოვოს და ტაქტიკური მდგომარეობა გაიუმჯობესოს. „ხარკოვის მიმართულებით მტერმა ტანკებიდან, ქვემეხებიდან და სარაკეტო არტილერიიდან დაბომბა უდის, რუსკიე ტიშკის, ჩერკასკიე ტიშკის, პიტომნიკის, ბოლშოი პროხოდის, სტარი სალტოვის, პეტროვკას, პობედას, დემენტეევკას, პრიშიბის დასახლებების ტერიტორიები“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ცნობით, საოკუპაციო ძალებმა საჰაერო დარტყმები განახორციელეს შესტაკოვოს, ბაირაკის, რუსკიე ტიშკის და ვესელოეს დასახლებების ტერიტორიებზე.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა სლავიანსკში საბავშვო ბაღი დაბომბეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია სლავიანსკის მერ ვადიმ ლიახზე დაყრდნობით ავრცელებს. „ქალაქი ისევ დაბომბეს. ტორსკაიას ქუჩაზე საბავშვო ბაღი განადგურდა“, - წერს ქალაქის მერი „ფეისბუქზე“. მისი თქმით, თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

* * *

სამხრეთ უკრაინაში მძიმე ბრძოლები გრძელდება, მათ შორის დაბომბვა - ენერგოდარის რაიონში, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურთან, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშშია აღნიშნული. უწყება ასევე აფასებს რუსეთის ყოველწლიურ სამხედრო წვრთნებს „ვოსტოკ 22“-ს, რომელიც ხუთშაბათს დაიწყო. „რუსეთი საჯაროდ აცხადებდა, რომ წვრთნებში მონაწილეობას მიიღებს 50 000 სამხედრო, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ წელს 15 000-ზე მეტი ჯარისკაცი იქნება აქტიურად ჩართული, რაც იმ ძალების დაახლოებით 20%-ია, რომელიც წინა წვრთნებში, 2018 წელს მონაწილეობდა“, - ნათქვამია ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში. უწყების შეფასებით, რუსეთის სამხედრო ქმედებამ უკრაინაში ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის ისეთი სამხედრო სტრატეგიული წვრთნები, როგორიცაა „ვოსტოკი“, პირველ რიგში, მიზნად ისახავს რუს ლიდერებსა და საერთაშორისო აუდიტორიაზე შთაბეჭდილების მოხდენას და ვერ ახერხებს, ხელი შეუწყოს სამხედროებს, განახორციელონ ფართომასშტაბიანი, რთული ოპერაციები.

* * *

უკრაინის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია „ენერგოატომი“ აცხადებს, რომ საერთაშორისო ინსპექტორებს ზაპოროჟიეს ელექტროსადგურზე არსებული სრული სურათის ნახვის საშუალება არ ეძლევათ. „რუსი სამხედროები ცრუობენ, მანიპულირებენ და ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე არსებულ რეალობას არასწორად წარმოაჩენენ“, - აცხადებენ კომპანიაში. მათივე მტკიცებით, ოკუპანტები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გუნდი ადგილზე ფაქტებს არ გაეცნოს. „უკრაინელი და უცხოელი ჟურნალისტები სადგურზე არ შეუშვეს და მისიას რუსი პროპაგანდისტები ახლდნენ თან“, - აცხადებენ „ენერგოატომში“. მათივე მტკიცებით, საერთაშორისო ინსპექტორებს ასევე ხელი შეუშალეს კრიზისული ცენტრის მონახულებაში, სადაც, სავარაუდოდ, სამხედრო პერსონალი იმყოფება. „დამპყრობლებმა განზრახ დაბლოკეს ფიჭური კომუნიკაციები და ინტერნეტი ენერგოდარში, რათა ხელი შეუშალონ სურათებისა და ვიდეოების გადაგზავნას ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურიდან“, - აცხადებენ კომპანიაში. „ენერგოატომის“ შეფასებით, აღნიშნული პირობები ნიშნავს, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ზაპოროჟიეს ელექტროსადგურზე არსებული მდგომარეობის შესახებ მიუკერძოებელი შეფასების გაკეთება გაუჭირდება.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„მინდოდა, ადამიანებს ჩემს ნახატებში საკუთარი თავი დაენახათ“

მე-5 გვერდიდან

- მხატვრობის გარდა, რით ხართ დაინტერესებული?

- ფილოსოფიის და ლიტერატურისადმი ინტერესი თანმდევი გახდა ჩემთვის. ასევე, მაინტერესებს და ვეცნობი თანამედროვე ხელოვნების კონცეფციებს, თეორიებს, სახვითი ხელოვნების ისტორიას. ამოუწურავი მასალაა და ეს უფრო მახარებს. მაინტერესებს ანიმაცია, ვიდეოთამაშები და მათი აუდიო თუ ვიზუალური დიზაინი. მოკლედ რომ აღვწერო - მხატვრობის გარდა, დაინტერესებული ვარ ინფორმაციის შეგროვებით.

- წლების წინ პერსონალური გამოფენა გქონდათ. კიდევ აპირებთ?

- დიახ, ვაპირებდი 2020-შიც, მაგრამ კოვიდსიტუაციის გამო შეუძლებელი გახდა იდეის განხორციელება. ახლა ახალი ნამუშევრების გამოფენა მსურს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის ჩავთვლი, რომ იგი, რაოდენობრივადაც და შინაარსობრივადაც, შექმნის ერთიან განზომილებას საგამოფენო სივრცეში.

- როგორია თქვენი იდეალური სამუშაო გარემო?

- მაქსიმალური პროდუქტიულობისთვის აუცილებელია, ვიყო მარტო. ერთადერთი, ჩემი მეუღლის გვერდით ყოფნა არ მიშლის ხელს. მუშაობისას, სიტუაციის და ნამუშევრის მიხედვით, ხან საკუთარ აზრებს ვუსმენ, ხან დიალოგი გვაქვს მე და ნანუჩის (მეუღლე), ან მუსიკაა ჩართული. მუსიკას უძლიერესი გავლენა აქვს მუშაობაზე და მას ნახატის თემატიკის, ემოციური დატვირთვის მიხედვით ვარჩევ, რათა პროცესში მთლიანად ჩავიძირო. ამ დროს შეიძლება თავადაც ვღიღინებდე სიჩუმეში, გამოვცემდე რაღაც ხმებს, ვაკეთებდე მოძრაობებს.

- მხატვრობასთან ახლოს რომ არ ყოფილიყავით, რომელ სფეროს აირჩევდით და რატომ?

- თუ რამეს მივუძღვნიდი ცხოვრებას, ეს აუცილებლად იქნებოდა ის, რაც ყველაზე მეტ სიამოვნებას მანიჭებს, რადგან ამ პრინციპის გარეშე არაფერს ვაკეთებ... განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა, ამიტომ, როცა ეროვნულ გამოცდებს ვაბარებდი, მხოლოდ სამი სპეციალობა მქონდა ჩაწერილი: ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ხელოვნებათმცოდნეობა. სხვა არაფრის მსწავლელი ვიყავი და ვიცოდი, რომ დროსაც და რესურსსაც უაზროდ გავფლანგავდი.

- რა გეგმები გაქვთ?

- გამოფენები და უფრო მეტი განვითარება. მინდა გრაფიკულ დიზაინსა და მხატვრობაშიც გადავიდე. ვიდეოთამაშების შექმნაც მინდა ვისწავლო, რადგან ვფიქრობ, ეს ის უნიკალური სფეროა, სადაც შეიძლება მხატვრული სტილი, შინაარსობრივი და აუდიომასალა ისე შეერწყას ერთმანეთს, რომ რამე ღირებული და საინტერესო გამოვიდეს. დღეს, ჩემი აზრით, ეს სფერო ხელოვნების ერთ-ერთი განვითარებადი მიმართულებაა. ასევე, მაქვს საკუთარი სამხატვრო სტუდიის გახსნის იდეა.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 2/09/22, 22 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ზვიად ბოლქვაძის ახალი მუსიკალური შედევრი – განსაკუთრებული მოვლენა ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

არაერთი წელია, ჩვენი თანაქალაქელი, ნიჭიერი კომპოზიტორი ზვიად ბოლქვაძე თავისი ნაყოფიერი და, უდავოდ, გამორჩეული შემოქმედებით გულგრილს არავის ტოვებს

ახალგაზრდა შემოქმედი ცდილობს, სულ სიახლეებით წარსდგეს მსმენელის წინაშე და ყოველ ჯერზე ისეთ საინტერესო შემოქმედებას წარმოგვიდგენს, რომ გვაოცებს. ამჯერადაც ასე იყო - მსმენელმა იხილა მისი ახალი შედევრი - მუსიკალური მონოდრამა „The Passion of Medea“ („მედეას ვნებანი“). თავიდანვე ვიტყვით, რომ სპექტაკლმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, აღაფრთოვანა და გააოცა მაყურებელი. ეს არის შემოქმედებითი ჯგუფის უდიდესი წარმატება.

სპექტაკლისთვის მუსიკა ზვიად ბოლქვაძემ ოთარ ჭილაძის ნაწარმოების მიხედვით ძალიან მოკლე დროში დაწერა, როგორც გვითხრა - ორ კვირაში. რეჟისორი გახლავთ ზაზა სიხარულიძე და სპექტაკლის დადგმის იდეაც მასვე კუთვნის (სამწუხაროა, რომ მან ვერ შეძლო პრემიერაზე დასწრება და იმ რამდენიმეწუთიანი მხურვალე ტაშისა და ოვაციის გაზიარება, რომელიც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზში გაიმართა). სცენარიც მანვე დაწერა. რადგან მუსიკაში მთავარი დატვირთვა აქვს ორგანს და იგი ბათუმში არ გვაქვს, პრემიერისთვის წინასწარ და საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიწერა დისკი, რაც უზრუნველყო ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურმა ცენტრმა, ისევე, როგორც აღნიშნული სპექტაკლის დადგმა.

მე არ გახლავართ თეატრმცოდნე, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ზვიად ბოლქვაძის მუსიკალური მელოდრამა ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენაა...

სანამ ფარდა გაიხსნებოდა, გამაოგნებელი მუსიკა გაისმა, თითქოს შეგვამზადეს იმ ვნებებისთვის, რისი თანამონაწილეც თითქმის ერთი საათის განმავლობაში გავხდით. ეს უვერტიურა იყო, რომელიც შეგვიძლია სცენაზე და რაღაც ძალიან ამაღლებულს გვაზიარა. ერთბაშად მიგვიზიდა მუსიკამ, სცენის გაფორმება-მხატვრობამ, განათებამ და, რა თქმა უნდა, მსახიობმა თათია თათარაშვილმა. მის პროფესიონალიზმთან ერთად, უმალვე შეიგრძნობდით ბრწყინვალე რეჟისორის უხილავ ხელს.

სპექტაკლის ბოლოს აღფრთოვანებულმა მაყურებელმა შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

სიმონ ჯანგულაშვილი, დირიჟორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი:

- შეძრული ვარ სპექტაკლით, რადგან ოთარ ჭილაძის ნაწარმოების ასე მუსიკაში და მერე სცენაზე გადმოტანა ძალიან რთულია. ვფიქრობ, ავტორებმაც და მონაწილეებმაც ეს ძალიან შთამბეჭდავად მოახერხეს. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას იწვევს მუსიკა, რომელიც ყველაფერს ავსებს და მოქმედი გმირია. მსახიობის შესანიშნავ თამაშთან ერთად, იგი ძალიან ღრმად გადმოსცემს იმ ფსიქოლოგიურ პროცესებს, რაც მედეას გულში ხდებოდა და რამაც, შეიძლება ითქვას, ქართული კულტურის, ქართველი კაცის და დასავლური სამყაროს თითქოს რაღაც ურთიერთობა განსაზღვრა. შეძრული ვარ. ვფიქრობ, ოთარ ჭილაძე ბედნიერი იქნებოდა, დღეს ეს სპექტაკლი რომ ენახა.

აპაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

- სასწაული მუსიკაა. ტექსტი მუსიკას ზუსტად ერწყმის. ფანტასტიკურია მსახიობი, რეჟისურა, მხატვრობა... ეს იყო აბსოლუტური შედევრი. დარწმუნებული ვარ, თუსადმე ფესტივალზე წარადგენენ ამ სპექტაკლს, აუცილებლად მთავარ პრიზს დაიმსახურებს.

თათია თათარაშვილი, მედეას როლის შემსრულებელი:

- ვფიქრობ, მსოფლიო ლიტერატურის ქალთა სახეებს შორის მედეა პირველი და გამორჩეული სახეა. როლი იყო ნამდვილად საპასუხისმგებლო და ყველა მსახიობისთვის საოცნებო, სამუშაო პროცესი კი იმდენად სასიამოვნო, რომ ამას ვერ გადმოვცემ - მე და რეჟისორმა ერთ ენაზე დავიწყეთ საუბარი. ზვიად ბოლქვაძის გენიალური მუსიკა სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი და შემადგენელი ნაწილია. იგი იმდენად ძლიერია, რომ თავიდანვე შემოვიდა ჩემში, ძლიერად ჩამჭიდა ხელი და აღარ გამიშვა. ეს სპექტაკლი რომ მაყურებელს მოეწონა და ისეთი ემოცია გამოიწვია მასში, რაც ბოლოს ვნახეთ, ამ მუსიკის, რა თქმა უნდა, ზაზა სიხარულიძის და თითოეული ადამიანის, ვინც წვლილი ჩადო მასში, დიდი დამსახურებაა. მინდა მადლობა გადავუხადო ზაზა სიხარულიძეს, ზვიად ბოლქვაძეს, ბესო ბესელიას... ვფიქრობ, ყველაფერი კარგი და მნიშვნელოვანი სიყვარულით კეთდება. ეს სპექტაკლიც სიყვარულით დაიწყო.

ზაალ გოგუაძე, მსახიობი:

- ემოციური შოკი მაქვს, დიდხანს ვერ გამოვალ იმ ფსიქოლოგიური სტრესიდან, რაც მივიღე... რა თქმა უნდა, ძალიან კარგი გაგებით. ეს არის საოცრად კულტურული, რაფინირებული, გემოვნებიანი, დახვეწილი ყველაფერი ერთად - მუსიკა, რეჟისორი, მსახიობი... საოცარი შეგრძნებაა. ძალიან ბედნიერი ვარ. ეს წარმატება მინდა გულით მივულოცო ყველას.

ზვიად ბოლქვაძე, კომპოზიტორი:

- დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ზაზა გენიალურია, თათია - არაჩვეულებრივი პროფესიონალი, მადლობა ყველას, ვინც მუშაობდა სპექტაკლზე. უნდა აღვნიშნო, რომ დიდი გული, სული, ენერგია, სიყვარული ჩაიდო სპექტაკლში. მუსიკაზე დაახლოებით ორი კვირა ვიმუშავე, ოღონდ ეს იყო აბსოლუტურად უძილო ღამეები. მადლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს და მის დირექტორ გიორგი მიქელაძეს, ცენტრის მთავარ ადმინისტრატორ ჯაბა სალუქვაძეს, ყველას, ვინც რაიმე სახით მონაწილეობდა სპექტაკლის შექმნაში.

რუსუდან ბერიძე, ზვიად ბოლქვაძის ყოფილი პედაგოგი:

- ვამბობ და ყოველთვის ვიტყვი, რომ ზვიადი მოვლენაა. სპექტაკლში არაჩვეულებრივი მუსიკა ჟღერს. შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. მუსიკასთან დრამის ასე შეთავსება რთულია. რეჟისორული თვალსაზრისით ეს იყო უმაღლეს დონეზე გაკეთებული სპექტაკლი, მსახიობი - გენიალური... ერთმა მსახიობმა ასეთი ემოცია გადმოსცეს და ჩაგითრიოს, ეს სასწაულია. პაუზებშიც ისეთი სიჩუმე იყო, რომ იტყვიან, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ესაა ბრწყინვალე სპექტაკლი, რომელმაც მაყურებელიც თანამონაწილე გახადა.

დავით ბუხრიკიძე, ჟურნალისტი და კრიტიკოსი:

- ყველაზე მთავარი, რასაკვირველია, ზვიად ბოლქვაძის მუსიკაა - სრულიად გამაოგნებელი, კარგი, საინტერესო, რაღაც მდგომარეობა სევდასა და ტრაგედიას შორის. მუსიკა განსაზღვრავს მედეას რეფლექსიას. ეს კი არ აკნინებს მსახიობს, პირიქით, რაღაც იმპულსს, დინამიკას აძლევს მის მოქმედებას, ქცევას, ტემპს, რიტმს და ამიტომ მთლიანობაში არის „უხმო ოპერასავით“. აქ მონო ოპერის სტრუქტურაა, უბრალოდ, ვოკალის ხმაში იგულისხმება მსახიობის ხმა და ეს თითქოს ქმნის მოულოდნელ და ორიგინალურ კონტექსტს. მუსიკით ვგრძნობთ და „ვხედავთ“ ენერგიას, დრამატიზმსაც, თუ როგორ აპობს ამ ქალის ვნება უზარმაზარ ქვებს. ბოლოს, როცა ეშვება გილიოტინა, ცოტათი მომეჩვენა, რომ ზედმეტად პრიმიტიული და ძალიან სწორხაზობრივი მეტაფორაა. ეს ჩემი პირადი აზრია. გასაგებია, რომ ეს მედეას სასჯელია. სხვა მხრივ, მთლიანობაში ძალიან შთამბეჭდავი და ძალიან ორიგინალური გადაწყვეტაა, მუსიკალურ ხაზს მიყვება მსახიობის დრამატიზმი და ოსტატობა. დიდი მადლობა თათიას, რომ ასე არაჩვეულებრივად შეასრულა ეს როლი. ძალიან ნიჭიერი მსახიობია. და კიდევ ერთი დეტალი - ყველაფერი ძალიან ზუსტი, ზომიერი და ძუნწი ჟესტებითაა გადმოცემული, თითქოს შეზღუდული აქვს ეს მოძრაობა მუსიკიდან გამომდინარე, თითქოს მუსიკა კარნახობს, როგორ მოიქცეს. ჩემი აზრით, ძალიან მოუხდა ორგანის, ასევე, არფის ხმები მისტიკური ჟღერადობით, რომელიც დროდადრო ისმის სხვადასხვა ტონალობაში.

ირაკლი შარაძე, მუსიკოსი:

- დღეს უნიჭიერესი მაესტროს - ზვიად ბოლქვაძის არაჩვეულებრივი საღამო იყო, სხვანაირს არც ველოდით. ეს გახლდათ საოცრება და დიდი მადლობა მას, მსახიობს, რეჟისორს, ყველას, ვინც, წვლილი შეიტანა ამ გენიალური სპექტაკლის შექმნაში.

ნოდარ კალანდაძე, კონსერვატორიის კურსდამთავრებული:

- ლანჩხუთიდან ამ სპექტაკლისთვის ბათუმში სპეციალურად ჩამოვედი. არაჩვეულებრივი იყო. მოვიხიბლე მსახიობით, მუსიკით, რეჟისურით. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა ჩანაწერი იყო, არაჩვეულებრივად ჟღერდა.

ნინო ჩაიძე, ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო თეორმეტწლედის დირექტორი:

- პირველ რიგში, ბედნიერები ვართ, რომ ასეთი უნიჭიერესი ადამიანები ჰყავს ჩვენს ქვეყანას, ჩვენ ქალაქს. ძალიან ნასიამოვნები ვარ. საინტერესო სინთეზი იყო დრამატურგიის, მუსიკის, მსახიობის. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ზვიადს.

... მაშ, ასე, ბათუმში ქართული ნიჭის ზეიმი შედგა - ამ დღეს საუკუნეების წინანდელი კოლხეთის უკვდავი წარსული სრულიად ახლებურად და დიდებულად შემოგვთავაზეს.

წარმოგიდგენთ იმ ადამიანებს, ვინც წვლილი შეიტანეს სპექტაკლის წარმატებაში: მსახიობი თათია თათარაშვილი, ინსცენირების ავტორი და რეჟისორი - ზაზა სიხარულიძე, კომპოზიტორი - ზვიად ბოლქვაძე, მხატვარი - ბესო ბესელია, მხატვრული განათება - კახა გიგინეიშვილი, ირაკლი კრასნოპოლსკი, გახმოვანება - ვერა ქებულაძე, ტექნიკური რეჟისორი - ზვიად მურვანიძე.

ზურიკო დავითაშვილი უკვე ოფიციალურად – „ბორდოში“

ქართველი ფეხბურთელი კარიერას „ბორდოში“ გააგრძელებს, რაც ფრანგულმა კლუბმა ოფიციალურად დაადასტურა: „ბორდო მოხარულია, ზურიკო დავითაშვილის მოსვლა გაუწყოთ. ქართველი ფეხბურთელი ფრანგულ კლუბს 1-წლიანი იჯარით „დინამო ბათუმიდან“ შეუერთდა და ჩვენ მისი გამოსყიდვის ვალდებულება გვექნება. მიუხედავად იმისა, რომ 21 წლისაა, ზურიკო საქართველოს ეროვნული ნაკრების უცვლელი წევრია. მას ასაკობრივი ნაკრებები აქვს გავლილი და საქართველოს ნაკრების მაისურით 19 შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა. დავითაშვილი ნიჭიერი ფეხბურთელია, რომელიც ცოცხალი, სწრაფი და ტექნიკური გარემარბი გახლავთ. „ბორდოში“ გადასვლით, მას სურს, კარიერაში ახალი ნაბიჯი გადადგას და ჩვენ მას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებთ“, - ნათქვამია კლუბის განცხადებაში.

შეგახსენებთ: ზურიკო დავითაშვილს თბილისის „დინამოში“, თბილისის „ლოკომოტივში“, ყაზანის „რუბინში“, ვოლგოგრადის „როტორსა“ და ტულის „არსენალში“ უთამაშია. რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული საომარო მოქმედებების შემდეგ ფეხბურთელმა „არსენალთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და ბათუმის „დინამოს“ შეუერთდა.

ამირან გურიელიძე

„სისწრაფე და სიმწვავე გვაკლდა“

ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლი“ იტალიის სერია A-ს მეოთხე ტურში საკუთარ მოედანზე „ლეჩეს“ შეხვდა და ფრედ - 1:1 ითამაშა. ქართველი ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მოედანზე 55-ე წუთიდან გამოჩნდა, როცა ანგარიში უკვე 1:1 იყო. იმის მიუხედავად, რომ ხვიჩას რამდენიმე კარგი ეპიზოდი ჰქონდა, სამწუხაროდ, მისი თამაშს მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. შეხვედრის დასრულების შემდეგ „ნაპოლის“ მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ ჟურნალისტებთან თქვა: „რა დაგვაკლდა მოსაგებად? სისწრაფე... როდესაც ბურთს ვკარგავდით, მას სწრაფად ვიბრუნებდით, მაგრამ შეტევაზე სათანადოდ ვერ გადავდიოდით. პირველი ტაიმი სწორედ ასეთი იყო - მეტოქე უკეთ თამაშობდა. მეორე ნახევარი ბევრად უკეთესად ჩავატარეთ, მაგრამ მოწინააღმდეგემ უკან დაიხია და თავისუფალი სივრცეების პოვნაც უფრო გართულდა... პირველ ტაიმში რასპადორის და ელმასის ყოფნით მეგონა, დაცვასა და შეტევას შორის ბალანსი კარგად იქნებოდა დაცული. ცენტრალურ მცველებს უფრო ყურადღებით უნდა ეთამაშათ. ისეთი პენალტი ავიღეთ, რომლის თავიდან აცილებაც შეიძლებოდა, თუმცა იმ ეპიზოდში მერეტმა გადაგვარჩინა. შემდეგ გაგვიტანეს საოცარი გოლი, რამაც ყველაფერი კიდევ უფრო გაართულა. დღეს ჩვენი თამაშის ხარისხი ნამდვილად დაბალი იყო... ზოგიერთ ეპიზოდშიც არ გაგვიმართლა... მეტოქე მთელი გუნდით დაცვაში ჩაჯდა და ასეთ დროს სახიფათო მომენტის შექმნა ნებისმიერს გაუჭირდება. ფეხბურთელებმა უფრო მეტად უნდა გაუგონ ერთმანეთს და შემდეგ თამაშამდე ამაზე ვიმუშავებთ“.

შეგახსენებთ: *4 ტურის შემდეგ ლუჩანო სპალეტის გუნდს 8 ქულა აქვს და მე-3 ადგილზე იმყოფება.*

„ნაპოლის“ მომდევნო შეხვედრა სტუმრად - „ლაციოს“ წინააღმდეგ ხვალ, საქართველოს დროით 22:45 საათზე გაიმართება.

ამირან გურიელიძე